ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   პარასკევი, 1 სექტემბერი 1995 № 54 (192)   ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ


# ქუთაისი და რუსთავი დაწინაურდნენ!



### საქართველოს ჩემპიონატი

V ტური, 30 აგვისტო

ბათუმი 3:4 სამტრედია
ტორპედო 3:0 სიონი
კოლხეთი 1:0 ეგრისი
მეტალურგი 4:0 დურუჯი
შევარდენი 3:1 ივერია
დილა 2:0 გურია
მარგვეთი 3:0 კახეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 5 | 0 | 0 | 17-0 | 15 |
| მეტალურგი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-3 | 15 |
| მარგვეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 15-4 | 12 |
| კოლხეთი 1913 | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 12-8 | 10 |
| სამტრედია | 3 | 3 | 0 | 0 | 12-4 | 9 |
| შევარდენი 1906 | 5 | 3 | 0 | 2 | 12-9 | 9 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-4 | 7 |
| ზუგდიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-8 | 6 |
| სიონი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-15 | 3 |
| გურია | 5 | 1 | 0 | 4 | 2-14 | 3 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| კახეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-12 | 1 |
| დურუჯი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-18 | 1 |
| ეგრისი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-10 | 0 |
| ივერია | 5 | 0 | 0 | 5 | 3-14 | 0 |

შევარდენი 1906 — ივერია

გია ახალაძის ფოტო

ამ და ქუთაისური მატჩის რეპორტაჟები იხილეთ მეოთხე-მეხუთე გვერდებზე

# ჩვენი მეგობარი ლენარტი

ჩემპიონთა ლიგა, უეფას და თასების თასი, ინტერტოტოს თასი, ევროპის ჩემპიონატი, კონტრაქტები ტელეკომპანიებთან, ურმძლავრეს ფირმებთან, დიდძალი ფული, ბაჯო, სტოიჩკოვი, სავიჩევიჩი, ევროპის ყველა ფედერაცია იტალიიდან და გერმანიიდან დაწყებული, ამიერკავკასიის ქვეყნებით დამთავრებული, კაპელო, კრუიფი, ბეკენბაუერი... ყოველივე ამის სათავეში უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი და მათი კოლეგები დგანან. თითქოს უბრალო სიტყვა „ფეხბურთი" საკუთრივ თამაშის გარდა მთელს სტრუქტურას, ალბათ სპორტის ჩარჩოებს გაცდენილ ძალაუფლებას და მილიარდობით დოლარს ნიშნავს....

სამშაბათს ლენარტ იუჰანსონი,
გერჰარდ აიგნერი და თანმხლები პირნი თბილისს ეწვივნენ,
დანარჩენს მეორე გვერდზე იხილავთ.

თასების თასი. 14, 28 სექტემბერი. ბათუმი — სელტიკი

# სკოტებს ჯოჯოხეთელი ბეტმენი აღელვებთ!

შოტლანდია გუშინ დილით დაწყნარდა, როდესაც „დეილი რეკორდში" გამოქვეყნდა წერილი დიდი სათაურით: „სელტიკ", შენ საფრთხე არ გემუქრება." გაზეთი წერს, რომ ხუთდღიანი დუმილის შემდეგ, როგორც იქნა, მიიღეს ფაქსი ბათუმიდან, რომლითაც იტყობინებიან, რომ თამაში ბათუმში შედგება, სადაც სიმშვიდეა და მეტოქის სტუმრობას ელიან. ქართული კლუბის ვიცე-პრეზიდენტის თემურ ხუნდაძის ამ სიტყვებს გაზეთი ხაზგასმით იმოწმებს. მანამდე კი შოტლანდიური პრესა ლამის ისტერიკას მოეცვა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ „სელტიკის" გულშემატკივრებმა კატეგორიულად მოითხოვეს, ჩვენი ბიჭები იმ ჯოჯოხეთში არ გაუშვათო. ცეცხლზე ნავთი თბილისში ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმამ დაასხა. სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმის ცნობამ ბრიტანეთში გრინვიჩის დროით ოთხის ნახევარზე ჩამოაღწია, ხუთის ნახევარზე კი „სელტიკმა" მოსთხოვა შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციას უეფას დაკავშირებოდა (ტერორისტული აქტის დროს თბილისში იმყოფებოდნენ უეფას პრეზიდენტი და გენ. მდივანი) და მომავალი თამაშის ბედზე შეშფოთება გამოეთქვა. საქმე ისიც ყოფილა, რომ კლუბის შეკითხვაზე, საქართველოში რა მდგომარეობაო, ბრიტანეთის „ფორინ ოფისს" ანუ საგარეო საქმეთა სამინისტროს უპასუხია, სიტუაცია საშინელია, ხალხს უკონტროლო იარაღი აქვს და თბილისში რომ იქნებით, (რატომ უნდა ყოფილიყვნენ თბილისში?) ღამე ქალაქის შემოგარენში არ იაროთო. იმავე დღეს შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯიმ ფერი დაუკავშირდა უეფას და ესაუბრა შვეიცარიელ ედგარ ობერტიუფერს, რომელმაც უპასუხა, თავად გახლდით ბათუმში „ვარდარისა" და „ობილიცის" თამაშებზე, იმავე დროს თბილისში „ბოტევი" იმყოფებოდა და ამ სამიდან რაიმე პრეტენზია ერთ გუნდსაც არ გამოუთქვამს, რაც შეეხება საკუთრივ ბათუმს, თვითმხილველი გეუბნებით, იქ ყველაფერი რიგზეაო. მიუხედავად ამისა, მეორე დილას შოტლანდიურ გაზეთებს დიდი ალიაქოთი ჰქონდათ ატეხილი. წერდნენ, საქართველოში მძვინვარებს ქურდობა, ძარცვა და დიფტერია, ხოლო სასტუმროში კარის შიგნიდან ჩაკეტვა საკმარისი არაა და ამიტომ ყველამ ბარგი ახლოს უნდა დაიდოს და მუდმივად აკონტროლოსო. გაზეთი „ჰერალდი" წერდა: „სამწუხაროდ, „სელტიკის" ბედს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი არა, უეფა წყვეტს და ისინი გვაიძულებენ ბათუმში ვითამაშოთ." „სელტიკის" ხელმძღვანელობა ბრიტანეთში საქართველოს საელჩოსაც დაკავშირებია, სადაც უთქვამთ, ბათუმის აეროპორტს ყველანაირი თვითმფრინავის მიღება არ შეუძლია და სტამბულში ჩაფრენას გირჩევთო. კლუბის წარმომადგენელმა პიტერ მაკლეანმა განაცხადა, დღემდე არ ვიცით, ბათუმში ვთამაშობთ თუ თბილისში, ვითხოვთ უსაფრთხოების გარანტიას, თუ არა, მაგ თამაშზე არ წავალთო. იგი ბათუმის ნაცვლად შეხვედრის ნეიტრალურ მოედანზე გამართვასაც ითხოვდა და ვერაფერს პასუხობდა გულშემატკივრებს, რომელთაც გუნდის თანხლება სურთ.



„დეილი რეკორდმა" ბათუმელ ფეხბურთელებს **BAT-MEN** (ბათუმელი კაცები) უწოდა და ახლა ამ „მიგნებას" მთელი შოტლანდიური პრესა იმეორებს. მოკლედ, ბეტმენებს უწოდებენ.

როგორც ზემოთ ვთქვით, ცნობამ ბათუმიდან მიღებული ფაქსის შესახებ ვითარება შედარებით ჩააცხრო. თავად „სელტიკმა" გუშინ თბილისის დროით შუაღამისას შინ ითამაშა კოკა-კოლას თასის მესამე ეტაპზე „რეის როვერსთან", 10 სექტემბერს კი „აბერდინს" შეხვდება. მომავალ ოთხშაბათს, ევროპის ჩემპიონატის დღეს შოტლანდიის ნაკრები ფინეთს ხვდება. ნაკრებში სამი სელტიკელია — მცველები ბოიდი და მაკ კინლი, ნახევარმცველი კოლინზი. სამი მოთამაშე ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდშიც: გრეი, დონელი და მაკლაფლინი.

ზურაბ მეძველია,
ლონდონიდან

ევროპის ჩემპიონატი. 6 სექტემბერი. გერმანია — საქართველო

# ხვალ მიფრინავენ

EURO 96 England

31 აგვისტოდან თბილისის „დინამოს" დიღმის ბაზა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს დაეთმოთ, წინა დღეს კი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ სასტუმრო „მეტეხში" გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ეს გვაცნობა:

ნაკრები 2 სექტემბრამდე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოემზადება. 2 სექტემბერს გავფრინდებით გერმანიაში, სადაც სავარჯიშოდ და დასასვენებლად სტადიონი და სასტუმრო გერმანიის საფეხბურთო კავშირმა უკვე გამოგვიყო. გერმანიაში შემოგვიერთდებიან ქინქლაძე, ნემსაძე და კუდინოვი, დღეს თბილისში ჩამოფრინდებიან ქეცბაია, ყაველაშვილი, ჩიხრაძე, გუჯაბიძე, შელია და შოთა არველაძე. უძლიერეს შემადგენლობას ვერც ამ თამაშზე შევკრებთ — როგორც იცით, მძიმედ დაშავდა ნაკრების კაპიტანი ცხადაძე, ტრავმისა და ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშებენ რევიშვილი, ჯამარაული და ინალიშვილი.



უძლიერესი შემადგენლობით ვერც ჩვენი მეტოქე გამოვა: კლინსმანისას კოლერის ტრავმა დაემატა, ორი გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებენ ზამერი და როიტერი.

ამჯერად თავი შევიკავეთ ყიზილაშვილის მოწვევისგან, რადგან ახალ სეზონში მას ჯერჯერობით არ უთამაშია და სათამაშო პრაქტიკა აკლია.

მალე გაირკვევა, რა ტაქტიკით ვითამაშებთ, ვინ იქნება ლიბერო და ვინ საყრდენი ნახევარმცველი. ყველაფერი მოთამაშეთა მზადყოფნის ხარისხზე იქნება დამოკიდებული. ვიცით, ვის რა შეუძლია, მაგრამ განსჯა და შემოწმება არ გვაწყენს...

საბოლოოდ ნაკრების მწვრთნელმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც გერმანიასთან სათამაშოდ მოემზადებიან: მეკარეები დევაძე, ზოიძე; მცველები: ბერაძე, ჩიხრაძე, გუჯაბიძე, შელია, კუდინოვი, მაჭავარიანი; ნახევარმცველები და თავდამსხმელები: ქინქლაძე, ნემსაძე, გოგიჩაიშვილი, ქეცბაია, გ.კილასონია, ტუღუში, ცქიტიშვილი, ყაველაშვილი, შოთა არველაძე.

ნაკრებთან მოემზადებიან აგრეთვე ლუდუშაური და არჩილ არველაძე.

მამუკა კვანტალიანი

# ნემსაძე შეგვემატა

ყველაფერსა აქვს დასასრული და გიორგი ნემსაძის უიღბლობა რა გახდა...

გერმანელებთან თამაშის წინ ეს ცნობა მართლაც საყურადღებოა: ნორდ-ოსტ რეგიონალლიგის „ჰომბურგმა" გერმანიის თასის გათამაშებიდან გამოთიშა პირველი ბუნდესლიგის „ზანქტ-პაული". თამაში მძაფრი და დრამატული გახლდათ, დამატებითი დროც დაინიშნა, ჰომბურგელმა მასპინძლებმა საბოლოოდ 2:1 მოიგეს. ამ თამაშში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ის იყო, რომ გამარჯვებულთაგან ყველაზე მაღალი შეფასება აქ მოთამაშე საქართველოს ნაკრების წევრმა გიორგი ნემსაძემ დაიმსახურა. შარშანდელი გამუდმებული ტრავმებისა და ავადმყოფიბის შემდეგ ნემსაძე გერმანიას, ფაქტობრივად, მოურჩენელი გაემგზავრა, იქაურ ექიმებსაც რა შეეძლებოდათ — საგანგებო ყურადღებით ეპყრობოდნენ, მალე „ფეხზე დააყენეს" და გიორგიც ჩვეული ძალით ათამაშდა. მის თამაშს სპეციალისტებიც მაღალ შეფასებას აძლევენ და არც ადგილობრივი პრესა-ტელევიზიის ყურადღება აკლია. ერთი სიტყვით, სასიამოვნო ფაქტია — ეროვნულ გუნდში სამი თამაშის იძულებითი გაცდენის შემდეგ გიორგი ნემსაძე კვლავ დაუბრუნდა ნაკრებს. გერმანელებთან თამაშის წინ.

## ატლეტიკო ნასიონალი – გრემიო 1:1 (1:3)

— ასე დამთავრდა „კოპა ლიბერტადორესის" ფინალური მატჩები. კოლუმბიელებმა სტუმრად განცდილი დამარცხება შინ ვერ გააბათილეს და სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტიტული ბრაზილიელებს დაანებეს. საპასუხო თამაშში ანგარიში მასპინძელმა არისტისაბალმა გახსნა (10), დამთავრებამდე 4 წუთით ადრე კი პორტუალეგრელმა დინიომ კოლუმბიელთა იმედები გააქარწყლა.

## ქალთა საზონათშორისო ტურნირი

ხვალ კიშინიოვში იხსნება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი, რომელშიც 56 დიდოსტატი და ოსტატი იასპარეზებს. მიწვეულთა შორის არიან პრეტენდენტთა ბოლო მატჩ-ტურნირის მონაწილენი — ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია, ალისა გალიამოვა-ივანჩუკი (უკრაინა), ზუაგინ პენგი (ჩინეთი), ალისა მარიჩი (იუგოსლავია), ქრისტინ ფოიშორი (რუმინეთი), აგრეთვე 1993 წლის მსოფლიოს ჩემპიონი 20 წლამდე გოგონებში დიდოსტატი ნინო ხურციძე და სვეტლანა მატვეევა (რუსეთი). დანარჩენებმა ზონალურ შეჯიბრებებში მოიპოვეს ამ ტურნირში გამოსვლის უფლება, მათ შორის ხუთი კი ჩვენიანია: დიდოსტატი ნინო გურიელი, მაია ლომინეიშვილი, ნატო ეძგვერაძე, მირანდა ხორავა და ნათია ჯანჯღავა. ამათთან ერთად ითამაშებს დიდოსტატი ქეთევან კახიანი, რომელიც ახლა გერმანიის სახელით გამოდის. ტურნირი 13 ტურად გაიმართება. ექვსი გამარჯვებული პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის საგზურებს მიიღებს. მათ დაემატებიან მაია ჩიბურდანიძე და ზუ ციუნ — ფუჯა პოლგარს შორის დამარცხებული.

თენგიზ გიორგაძე, საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი

# იუჰანსონი დემოკრატიულ ფეხბურთს აშენებს

ყველამ თავისი სფერო იდარდოს. სამშაბათს სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმამ ფეხბურთთან დაკავშირებულ ადამიანებს, დარწმუნებული ვარ, მაჯისცემა აუჩქარა. ახლა, როდესაც, როგორც იქნა, სამ ქართულ გუნდს დართეს ევროპის საკლუბო ტურნირებზე ასპარეზობის ნება, ნაკრებიც, აგერ ერთი წელიწადია, საქმეში ჩაერთო და გარკვეული იმედი ჩაგვისახა, გაისად ვინძლო კიდევ ერთი ქართული კლუბი „ინტერტოტოს" თასზე დაუშვან, ყუმბარების სროლა და პრეზიდენტების მკვლელობა, ვის ვის და, საფეხბურთო წრეებს ნამდვილად არ აძლევთ ხელს. თანაც, დახეთ ბედის ირონიას, მეთაურს თავს სწორედ იმ დღეს დაესხნენ, თბილისში თავად უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი რომ ჩამოდიოდა. ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში არასტაბილურ სიტუაციაზე და ამის გამო ქართული გუნდების ევროშეჯიბრებებში არდაშვებაზე საუბრებით გულშეწუხებულ ქართველს სამშაბათს ელეთმელეთი მოუვიდოდა, უეფას მიზეზიღა აკლდა და დიდი პრეზიდენტის სტუმრობის დღეს ლარნაკით მივართვითო. აქ მავანმა შეიძლება თქვას, რა მოხდა ასეთი, სროლით რეიგანსაც ესროლეს, მაგრამ ამის გამო აშშ-ი სპორტული შეჯიბრებები არავის გაუუქმებია, ანდა ბელფასტში ორი წლის წინ ტერორისტული აქტი სწორედ იმ დღეს მოაწყვეს, თბილისის „დინამო" „ლინფილდთან" სათამაშოდ რომ ჩავიდა, მაგრამ თამაში არავის ჩაუშლიაო. ეს კი ასეა, მაგრამ უბრალო ენით რომ ვთქვათ, ამერიკა ამერიკაა, ასე განსაჯეთ, ჩრდილოეთ ირლანდიაც ჩრდილოეთ ირლანდიაა, ისინი ეგრეთ წოდებული დასავლური სამყაროს ოჯახის წევრები არიან (აშშ საერთოდაც ლიდერია), საქართველო კი იქ ჯერ არ მოხვედრილა. თუმცა წინასწარ ნუ ვინერვიულებთ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლენარტ იუჰანსონს და მის თანხლებთ: უეფას გენერალურ მდივანს გერჰარ აიგნერს, აღმოსავლეთ ევროპის ბიუროს გენერალურ დირექტორს ერიჰ ეპლეს და აღმასკომის წევრს პერო ონდალს ამ ტერორისტული აქტის გამო პრინციპული დამოკიდებულება საქართველოსა და მისი ფეხბურთის ფედერაციის მიმართ არ შეუცვლიათ.

უეფას უმაღლესი დელეგაცია 29-ში საღამოს ბაქოდან ჩამოფრინდა და 30-ში შუადღისას თბილისიდან ერევანს გაემგზავრა. სტუმრებმა ინახულეს ეროვნული სტადიონი, დიღმის საწვრთნელი ბაზა, სპორტის სასახლე, იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, შეხვდნენ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას (ცხად მიზეზთა გამო სახელმწიფოს მეთაურმა ვერ მიიღო), შემდეგ „მეტეხში" ფედერაციის თანამშრომლებს ესაუბრნენ, ბოლოს კი პრეს-კონფერენცია გამართეს. იუჰანსონი კმაყოფილი დარჩა დიღმის ბაზით, სტადიონის მინდვრითა და გასახდელებით, თუმცა სკამების მიმართ გარკვეული პრეტენზია გამოთქვა. პრეზიდენტს განუმარტეს, რომ 1998 წლამდე ეროვნულ სტადიონზე მოაწყობენ ინდივიდუალურ სკამებს, რაც ჯამში 10-12 ათას ადგილს მოაკლებს, მაგრამ უეფას არჩევანი ასეთია: ჯობს შეჯიბრებას ოდნავ ნაკლები მაყურებელი დაესწროს, მაგრამ ვინც მივა, სრული კომფორტი უნდა იგრძნოს. დავძენთ, რომ სტუმრებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მეთოდური ლიტერატურა და ვიდეოკასეტები ჩამოუტანეს.

ახლა უშუალოდ პრეს-კონფერენციაზე: თავიდან უეფას პრეზიდენტმა დიპლომატიური ვალი მოიხადა და გულისტკივილი გამოთქვა სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმის გამო. სთქვა, ვწუხვარ, რომ მასთან დაგეგმილი შეხვედრა გასაგებ მიზეზთა გამო ჩაიშალაო და წაიკითხა იმ თანამგრძნობი და გამამხნევებელი წერილის ტექსტი, მან და მისმა კოლეგებმა ედუარდ შევარდნაძეს რომ გაუგზავნეს. შემდეგ მან აღნიშნა, რომ მასპინძლებმა ისინი მშვენივრად მიიღეს და იმ თითქმის ამომწურავ ინფორმაციას, რაც ქართულ ფეხბურთსა და მის ავ-კარგზე ჰქონდათ, დამატებითი შტრიხები შემატეს. იუჰანსონმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ მან მასპინძლებთან ისაუბრა ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პრობლემებზე და საერთოდაც მთელ პრეს-კონფერენციას ბავშვთა ფეხბურთი ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევდა. პრეზიდენტი კმაყოფილი იყო ოთარ ფაცაციასთან შეხვედრით, მეტადრე იმით, რომ ქართველი პრემიერი გულშემატკივარი კაცი ყოფილა და როგორც ასეთს ფეხბურთის პრობლემები, მიუხედავად ფინანსური გაჭირვებისა, გულთან ახლოს მიაქვს. საბჭოთა კავშირის დაშლა და აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ცვლილებები მხოლოდ პოლიტიკური მოვლენები სულაც არ ყოფილა. გაჩნდა ახალი ფედერაციები, რომლებიც უეფაში გაერთიანდნენ და ახლა თავიანთ ქვეყნებში თავად განაგებენ ფეხბურთის საქმეებს. იუჰანსონის თქმით, მისი ორგანიზაცია ზრუნავს ახალ ქვეყნებში პრობლემათა მოგვარებაზე და შემუშავებული აქვს მათი ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული და კომერციული დახმარების პროგრამა. უეფას მიზანია, ეს სახელმწიფოები თანდათან სრულყოფილად ჩართოს ევროპულ საფეხბურთო ცხოვრებაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გაიხსენა ლენარტ იუჰანსონის პირველი ვიზიტი საქართველოში, როდესაც იგი შვედეთის ფეხბურთის თავკაცი იყო. მანვე თქვა, უეფას პრეზიდენტთაგან ვინც თბილისში ჩამობრძანდა, პირველი თავის დროზე არტემიო ფრანკი გახლდათო. ახალკაცის თქმით, მათ სტუმრებს გულღიად უთხრეს ჩვენი ფედერაციის აბსოლუტურად ყველა პრობლემის შესახებ და რომ არა უეფას აშკარა მხარდაჭერა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საერთოდ არსებობაც გაუჭირდებოდა. ფეხბურთის ირგვლივ შემოსავლებს დახარბებული უამრავი ადამიანი ტრიალებს, ამიტომაც უეფას მკაფიო პოზიცია იმის შესახებ, რომ საფეხბურთო საქმეები მხოლოდ მან და ადგილობრივმა ფედერაციებმა უნდა განაგონ, მეტად მნიშვნელოვანია.

საქართველო უკვე სამი წელიწადია, რაც ევროპის ასოციაციაში გაწევრიანდა, ამ ხნის მანძილზე ქვეყნის საშინაო და საგარეო საფეხბურთო მოღვაწეობა იუჰანსონმა ასე შეაფასა: — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დიდად გამოცდილი ადამიანია და მას შესწევს უნარი ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობას გაუძღვეს. მნიშვნელოვანია, რომ იგი პრიორიტეტს ახალგაზრდა სპეციალისტებს აძლევს. რაც შეეხება საგარეო საქმეებს, ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადია საჭირო, რომ ქართულმა ფეხბურთმა ძველ სიმაღლეებს მიაღწიოს. ყველას კარგად ახსოვს, რაოდენ ძლიერი გუნდი იყო თბილისის



ლენარტ იუჰანსონი

„დინამო", საბჭოთა კავშირის ნაკრებში ამ გუნდიდან სამი-ოთხი ფეხბურთელი მუდმივად თამაშობდა. ახლა მთავარი პრობლემა ის გაქვთ, რომ თქვენი ფეხბურთელები საზღვარგარეთ გადიან, თუმცა ეს მხოლოდ თქვენი სატკივარი არაა, ეს ყველა მცირე ქვეყნის სატკივარია. ამის საპირისპიროდ მე ერთ სწორ გზას ვხედავ, უნდა განვითარდეს ბავშვთა ფეხბურთი. ამ მხრივ მისასალმებელია იმავე თბილისის „დინამოს" მაგალითი. „დინამოს" აქვს ბავშვთა სკოლა, სადაც 12 მწვრთნელი მუშაობს. მათი აღზრდილები საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მალე გამოადგებიან. მინდა გითხრათ, რომ არ არსებობს კლუბი, თუნდაც „მილანი", „ბაიერნი" ან „ლივერპული" იყოს, რომელსაც ჩავარდნის პერიოდი არ ჰქონია. გუნდებს ბრძოლის უნარი უნდა დაუბრუნოთ. რაც შეეხება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მას საუკეთესო რეპუტაცია აქვს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მასთან მჭიდრო კავშირი გვაქვს.

შემდეგ საკითხად ეს წამოიჭრა: ეგრეთ წოდებული მცირე ქვეყნების კლუბებს შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ მდიდარ ქვეყნებში მოთამაშეთა გაყიდვა აქვთ. ასეა საქართველოშიც და ამას ვერსად გავექცევით. ამდენად, მნიშვნელოვანია, როგორ დამთავრდება „ბოსმანის საქმე". მკითხველს შევახსენებთ, რომ ბელგიელმა ფეხბურთელმა ჟან-მარკ ბოსმანმა ევროპის სასამართლოში უჩივლა კონტინენტის ფეხბურთის ხელმძღვანელებს მოთამაშეთა გაყიდვის წესის თაობაზე. მისი აზრით, კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ადამიანი თავისუფალია და მისი გაყიდვა პიროვნების უფლებების შელახვაა. უეფას პრეზიდენტმა ამასთან დაკავშირებით ბრძანა, რომ მას ამ თემაზე უემოციოდ საუბარი არ შეუძლია. მისი თქმით, თუ ხელშეკრულების ვადა გასულია, ფეხბურთელი თავისუფალია, მაგრამ თუ ძველი და ახალი კლუბები ტრანსფერის თანხაზე ვერ მორიგდნენ, მაშინ დავას უეფა გადაუწყვეტს. ბელგიის ფეხბურთის ფედერაციას, იუჰანსონის თქმით, დიდი შეცდომა დაუშვია ბოსმანის ტრანსფერის საკითხი რომ ვერ მოაგვარა. უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა ამასთან დაკავშირებით ბრძანა, რომ ეს მხოლოდ „ბოსმანის საქმე" არაა, არამედ მთელი ევროპული საფეხბურთო სტრუქტურის წინააღმდეგ გალაშქრებაა. ამ წამოწყების მხარდამჭერთ მიზნად აქვთ ტრანსფერის თანხებს გვერდი აუარონ და სხვა, კერძოდ, ფულის ჯიბეში გაქანების მეთოდები დანერგონ. ჯიბეში წასული ფული კი ქვეყნების ფეხბურთის განვითარებას ველარ მოხმარდება. ეს წესი ერთხანს საფრანგეთში იყო დანერგილი, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა. აიგნერის თქმით, ბოსმანის გამარჯვების შემთხვევაში ევროპა ორად გაიხლიჩება, რადგან ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, მაგრამ ხომ არიან ამ კავშირის გარეთ მყოფი ქვეყნებიც! ევროკავშირს, რომელშიც ამ საქმეს ფეხბურთის უცოდინარი ადამიანები იხილავენ, რამდენიმე ნეგატიური ნაბიჯი უკვე გადაუდგამს, ამიტომ უეფა ახლა ყველა ღონეს იხმარს ჩარჩის მისთვის სასარგებლოდ მოსატრიალებლად, თუმცა ისიც კარგად უწყის, რომ დიდი ბრძოლები იქნება გადასატანი. უფლებამინიჭებულ უცოდინართათვის რაიმეს ახსნა მეტად ძნელი იქნება.

პრეს-კონფერენციაზე საუბარი 8 სექტემბერს დაგეგმილ ფიფას აღმასკომის სხდომასაც შეეხო. კერძოდ, ლენარტ იუჰანსონს ფიფას მოწყობის ახალი გეგმა შეუდგენია, რასაც ჟოაო ავილანჟი და იოზეფ ბლატერი არ იზიარებენ. სახელდობრ, იუჰანსონის აზრით, 1998 წლისთვის, ანუ როცა ავილანჟს პრეზიდენტობის ვადა გაუვა, საფეხბურთო სამყარომ უნდა შექმნას ახალი, დემოკრატიული სტრუქტურა. ფიფა ორი ადამიანის ორგანიზაცია არ უნდა იყოს, მისი აღმასკომი უნდა დაკომპლექტდეს ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლებით. იუჰანსონი ითხოვს სარეკლამო უფლებებს და გარანტიას იძლევა, რომ შემოსავალი ადრინდელზე გაცილებით მეტი ექნება. უეფას პრეზიდენტის აზრით, ოკეანეთის და აზიის კონტინენტური ფედერაციები უნდა გაერთიანდნენ, თუმცა ამაზე თავად ამ ორგანიზაციებს უარი შემოუთვლიათ, დამოუკიდებლად ყოფნა გვიჯობსო. სხვა საკითხებში კი სხვადასხვა კონტინენტების ფედერაციები იუჰანსონს ეთანხმებიან.

— მე არ მსურს აზრის გამოცვლა და მზად ვარ ნებისმიერ სხდომაზე დავიცვა იგი. ფიფა ორი ადამიანის ორგანიზაციად არ უნდა ჩავთვალოთ. პირადად ბლატერის აზრი კი მე საერთოდ არ მაინტერესებს — განაცხადა უეფას პრეზიდენტმა. „ინტერტოტოს" გათამაშების ავ-კარგზე სტუმარმა ბრძანა, რომ ამით ეროვნულ ფედერაციებს დამატებითი შემოსავლის მიღების, გუნდებს კი არა მხოლოდ უეფას თასის ადგილისთვის ბრძოლის, არამედ ზოგადად სეზონისთვის მომზადების საშუალება ეძლევათ. რაც შეეხებათ ინგლისურ კლუბებს, რომლებმაც ეს ახალი თასი აბუჩად აიგდეს, უეფა მათთვის სანქციებს გამოძებნის.

ფეხბურთში ტაიმ-აუტების დანერგვა, პრეზიდენტის აზრით, შესასწავლი საკითხაა. ის ტელერეკლამების ხარჯზე ... დძალ შემოსავალს მოიტანს, მაგრამ არგებს თუ ავნებს სპორტულ მხარეს? ჯერჯერობით ექსპერიმენტი ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩატარდა, მაგრამ ასაწონ-დასაწონი მაინც ბევრია. განსასაზღვრია, ორივე გუნდი, როცა მოესურვება, მაშინ შეწყვეტს ტაიმში ერთხელ თამაშს, თუ სამისოდ განსაზღვრული დრო იქნება.

რაც შეეხება ბავშვთა შეჯიბრებების არა მინიტურნირების სახით, არამედ მიმოსვლით ჩატარებას, ეს ხარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან მსაჯთა და გუნდების მგზავრობის ფულს მთლიანად უეფა იხდის. გარდა ამისა რამდენიმე გუნდის ერთ ქვეყანაში თავმოყრის სასარგებლოდ სოციალური ფაქტორიც მეტყველებს. უეფას დელეგაცია შეხვდა საქართველოს ასაკობრივ ნაკრებთა მწვრთნელებს და მათი მოსაზრებები მოისმინა. გამორიცხული არაა, რომ 16 ან 18 წლამდე ფეხბურთელთა მინიტურნირი გაისად საქართველოშიც ჩატარდეს, თუმცა ყველაფერი 8-9 დეკემბერს კენჭისყრაზე გაირკვევა.

პაპუნა კედია



ლენარტ იუჰანსონი და ნოდარ ახალკაცი



ერიჰ ეპლე და გერჰარდ აიგნერი

თასების თასი. გათამაშება

# პირველი გერმანელი შოტლანდიაში

სულ რაღაც ერთი წლის წინ გლაზგოს „სელტიკს" წარუმატებლობისა და დავიწყების ჭაობში შთანთქმის საფრთხე ემუქრებოდა. ფული კი უზომო რაოდენობით იხარჯებოდა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა, პარკჰედის სტადიონი სასწრაფოდ იყო შესაკეთებელი, კლუბის მესვეურთ კი ამისთვის თავი ვერ მოებათ.



ანდრეას ტომი

ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ კლუბი ფერგიუს მაკკანმა არ ჩაიბარა. ჩაიბარა და ყველაფერი სასიკეთოდ შემობრუნდა. სტადიონის რეკონსტრუქციას მან 30 მილიონი გირვანქა შეახარჯა, აქედან ცხრა მილიონი საკუთარი ჯიბიდან გაიღო. „სელტიკის" მწვრთნელს ტომი ბერნსს, რომელიც ოთხმოციან წლებში გუნდის კაპიტანი იყო, ახალი ფეხბურთელების ყიდვის ნება მისცა. „სელტიკის" განახლებას მაკკანმა ასეთი ლოზუნგი წაუმძღვარა — „უკან, სამოთხეში".

პირველი ნაბიჯი სამოთხისკენ „სელტიკმა" 6 აგვისტოს გადადგა — განახლებულ პარკჰედის სტადიონზე კევინ კიგანის „ნიუკასლს" უმასპინძლა. ტრიბუნები 34 000 გულშემატკივარმა შეავსო, სეზონისთვის კი 30 000 აბონემენტი გაიყიდა.

იმ მატჩში „სელტიკმა" გამოიყვანა გერმანიის ნაკრების ყოფილი წევრი ანდრეას ტომი, რომელიც პირველი გერმანელია, ვინც შოტლანდიაში ითამაშებს. შეხვედრა 1:1 დამთავრდა, შოტლანდიელებმა პენალტი გაიტანეს, რომელიც ტომის წაქცევისათვის დაინიშნა.

ანდრეას ტომი შოტლანდიაში — ეს მისი მესამე დაბადებაა ფეხბურთში. ბერლინის „დინამოში" ტომი დიდ ფეხბურთელად ითვლებოდა, შემდეგ პირველი იყო გდრ-დან, ვინც გფრ-ის კლუბთან გააფორმა კონტრაქტი. ახლა ის კვლავ პირველია — გერმანელი შოტლანდიაში.

გლაზგოში ტომს ენის პრობლემა შეექმნა. „სკოლაში ინგლისურს კი ვსწავლობდი, მაგრამ აქ ისე სწრაფად და აქცენტით ლაპარაკობენ, რომ არაფერი მესმის. ეს დაახლოებით იგივეა, ჰამბურგელი ბავარიაში რომ მოხვდეს — ისიც ვერაფერს გაიგებს."

ალბანელ ნახევარმცველ რუდი ვატასა და ჰოლანდიელ თავდამსხმელ პიერ ვან ჰოაიდონკთან ერთად ტომი მესამე უცხოელია კლუბში. მწვრთნელი ბერნსი მას შეჰპირდა, რომ ანდრეასს მის საყვარელ პოზიციაზე — თავდამსხმელთა უკან ათამაშებდა. ტომი სამ მილიონ მარკას მიიღებს სამი წლის მანძილზე.

გერმანელი კიდევ და კიდევ ეკითხებოდა თავს — შეძლებდა კი ბრიტანეთისთვის დამახასიათებელი და სპეციფიკური ფეხბურთის თამაშს. „შემდეგ ხშირად ვიხსენებდი ბრაიან ლაუდრუპს, რომელიც ჩემსავით რემბო არ არის, შოტლანდიურ ფეხბურთს კი ჩინებულად შეეწყო და წლის საუკეთესო მოთამაშეც გახდა „გლაზგო რეინჯერსის" შემადგენლობაში" — ამბობს ანდრეასი.

„შპორტ-ბილდი"

სელტიკი. 14, 28 სექტემბერი

# «სელტიკი»

ბათუმის მატჩამდე 13 დღეა დარჩენილი. წინა ნომერში დავიწყეთ და იქამდე შეძლებისდაგვარად მოგაწვდით ცნობებს ჩვენი მეტოქის შესახებ. დღეს „სელტიკის" შემადგენლობას გაგაცნობთ.



## პატ ბონერი

მეკარე. დაიბადა 1960 წლის 25 მაისს

ირლანდიელი მეკარე 1978 წელს „ქიდ როვერსიდან" სელტიკს რომ შეუერთდა, 20 წლისაც არ იყო. კლუბში მისი დებიუტი 1978 წელს „მოზერველის" წინააღმდეგ შედგა. 1988 ტრავმის გამო სეზონი გაუცდა. სახელი მოიხვეჭა 1988 წლის ევროპისა და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე. ჰყავს სერიოზული კონკურენტი — გორდონ მარშალი.

## გორდონ მარშალი

მეკარე. დაიბადა 1964 წლის 19 აპრილს

„სელტიკში" „ფელკირკიდან" 1991 წელს 285 ათას გირვანქად შეიძინეს. „ნოტინგემ ფორესტის", „ჰართსის" და ჰიბერნიანსის" 60-იანი წლების მეკარის შვილი ცნობილ პატ ბონერს დიდ კონკურენციას უწევს. „ფელკირკამდე" იგი „გლაზგო რეინჯერსში" და „ისტ ფაიფში" გამოდიოდა.

## მარკ მაკნელი

მცველი. დაიბადა 1971 წლის 20 მარტს.

საიმედო მცველი „სელტიკის" ფენომენალური ბავშვთა სკოლის აღზრდილია. 1992 წელს ტრავმის გამო ნახევარი სეზონი გაუცდა.

## ტომ ბოიდი

მცველი. დაიბადა 1965 წლის ნოემბერს.

თავიდან „მოზერველიდან", სადაც კაპიტნობდა და ქვეყნის თასიც მოიპოვა, 800 ათას გირვანქად „ჩელსიში" გადავიდა, მაგრამ ის და მისი მეუღლე ლონდონურ ცხოვრებას ვერ შეეწყვნენ და 1991 წელს ბავშვობის ოცნების გუნდში „სელტიკში" გადაბარგდა. კარგი მარცხენა მცველი შეტევაშიც კარგად ერთვება და ნახევარმცველადაც ვარგა.

## ტონი მოვბრეი

ცენტრალური მცველი. დაიბადა 1963 წლის 20 ნოემბერს.

ზორბა მცველი „სელტიკში" ერთ მილიონ გირვანქად „მიდლსბროსგან" უკანა ხაზის პრობლემების მოსაგვარებლად შეიძინეს. ძლიერი და ვაჟკაცური მცველია, ლიდერის თვისებებით.

## მაიკ გელოვეი



ცენტრალური მცველი ან ნახევარმცველი. დაიბადა 1965 წლის 30 მაისს

1989 წელს ნახევარ მილიონ გირვანქად „სელტიკში" „ჰართსიდან" გადავიდა. ცნობილია როგორც გოლის შემამზადებელი. კარიერა მეოთხე ლიგის „ჰელიფაქსში" დაიწყო, საიდანაც 60 ათას გირვანქად „ჰართსში" გადავიდა.

## პიტერ გრანტი

ნახევარმცველი. დაიბადა 1965 წლის 30 აგვისტოს

„სელტიკის" ბავშვთა სკოლის აღზრდილია. ფეთქებადი ხასიათის გამო ხშირად იღებს ყვითელ და წითელ ბარათებს. საუკეთესო სეზონი 1988 წელს ჰქონდა, როდესაც თასის მფლობელიც გახდა და ჩემპიონიც.

## ჯონ კოლინზი

ნახევარმცველი. დაიბადა 1968 წლის 31 იანვარს.

გუნდში 1990 წელს 1 მილიონ გირვანქად „ჰიბერნიანსიდან" მივიდა. თამაშობდა რაგბისაც. 17 წლისა უკვე „ჰიბსში" გამოდიოდა, 20 წლისა — შოტლანდიის ნაკრებში.

## პოლ მაკსტეი

ნახევარმცველი. დაიბადა 1964 წლის 22 ოქტომბერს.

დალგლიშის შემდეგ „პარკჰედზე" ასეთი გამთამაშებელი არ უნახავთ. 17 წლისა გუნდში იყო, 18 წლისა ნაკრებში. მასზე ახალგაზრდას შოტლანდიის ეროვნულ გუნდში მხოლოდ დენის ლოუს უთამაშია. 1968 წელს „სელტიკმა" იგი „მილანს" არ მიჰყიდა. მისი უფროსი და უმცროსი ძმებიც ფეხბურთელები არიან.

## ჩარლი ნიკოლასი

თავდამსხმელი. დაიბადა 1961 წლის 10 დეკემბერს

სიყრმეში, 1980 წელს 18 წლისას მას ფენომენალურ ფორვარდს უწოდებდნენ. „სელტიკში" მასზე ნიჭიერი არავინ იყო. გუნდს 1983 წელს, „არსენალში" გადასვლამდე, ორჯერ მოაპოვებინა ჩემპიონობა. „არსენალში" 750 ათას გირვანქად გაყიდეს. მაშინ „სელტიკში" 50 გოლი ჰქონდა გატანილი. ლონდონში გულშემატკივრებს ძლიერ მოსწონდათ, მაგრამ მწვრთნელი ჯორჯ გრემი იყო უკმაყოფილო და 1988 წელს ნახევარ მილიონად „აბერდინს" გადაულოცა. აქ მან ფორმა აღიდგინა და 1990 წელს „სელტიკმა" 400 ათასად დაიბრუნა.

## რუდი ვატა

მცველი. დაიბადა 1969 წლის 9 აპრილს

ალბანელი ფეხბურთელი „სელტიკშია" 1994 წლიდან. ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე ციკლში ორჯერ ითამაშა საქართველოს ნაკრებთან. თბილისში მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბოლოხანს კარგ ფორმაშია და „სელტიკთან" კონტრაქტი გააგრძელა.

## პიერ ვან ჰოაიდონკი

თავდამსხმელი. დაიბადა 1969 წლის 29 ნოემბერს

„სელტიკში" გასული სეზონის შუაში გადავიდა. ჰოლანდიელი მოთამაშე დღეს გუნდის წამყვან ფორვარდად ითვლება. ადრე თამაშობდა „სტინბერგენში", „როზენდალში" და „ბრედაში".

# გერმანია

III ტური. ჰანზა-დორტმუნდი 3:2, კიოლნი — ჰამბურგი 3:2, ვერდერი — კარლსრუე 1:0, ზანკტ პაული — კაიზერსლაუტერნი 1:2, მიონხენგლადბახი — ლევერკუზენი 0:0, ბაიერნი — ურდინგენი 2:0, აინტრახტი — მიუნხენი 4:2, შტუტგარტი — ფრაიბურგი 3:1, შალკე 04 — დიუსელდორფი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:4 | 9 |
| გლადბახი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ზანკტ პაული | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| ჰანზა | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| აინტრახტი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:5 | 5 |
| შტუტგარტი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ვერდერი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ლევერკუზენი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| კიოლნი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| კაიზერსლაუტ. | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| შალკე 04 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| დიუსელდორფი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| დორტმუნდი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ურდინგენი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| ჰამბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 7:9 | 1 |
| მიუნხენი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:9 | 1 |
| კარლსრუე | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |
| ფრაიბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

# ინგლისი

IV ტური. ნიუკასლი — მიდლსბრო 1:0. ბლექბერნი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:2, არსენალი — ნოტინგემი 1:1, ასტონ ვილა — ბოლტონი 1:0, ჩელსი — ქოვენთრი 2:2, ლივერპული — ქ.პ.რ. 1:0, მანჩესტერ სიტი — ევერტონი 0:2, საუთჰემპტონი — ლიდსი 1:1, ვესტ ჰემი — ტოტენჰემი 1:1, უიმბლდონი — შეფილდი 2:2

„სიტის" გოლები პარკინსონმა (58) დლა მოკაშიმ (73) გაუტანეს. ქინქლაძემ გაზეთ „სანისგან" შვიდბალიანი შეფასება მიიღო. უკეთესი ნიშანი — 8 — მხოლოდ უელსის ნაკრების კაპიტანმა, ევერტონელმა ბარი ჰორნმა მიიღო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| ლიდსი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| ლივერპული | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| მანჩესტერ იუნ. | 4 | 3 | 0 | 1 | 8-6 | 9 |
| ასტონ ვილა | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| უიმბლდონი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-7 | 7 |
| ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| არსენალი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-2 | 6 |
| ნოტინგემი | 4 | 1 | 3 | 0 | 6-5 | 6 |
| ქოვენთრი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-6 | 5 |
| მიდლსბრო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| შეფილდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| ბლექბერნი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| ბოლტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| ჩელსი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-4 | 3 |
| ქ.პ.რ. | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 3 |
| ვესტჰემი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |
| ტოტენჰემი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| საუთჰემპტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| მანჩესტერ სიტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |

# იტალია

თასის მეთექვსმეტედფინალი. პერუჯა — სამპდორია 0:1, აველინო — იუვენტუსი 1:4, რეჯანა — ბარი 2:0, პესკარა — მილანი 1:4, ასკოლი — ფიორენტინა 1:2, ვიჩენცა — პადოვა 4:1, ფორლი — პიაჩენცა 1:1, პ 5:3, ვენეცია — ინტერი 0:1, ატალანტა — კრემონეზე 2:2, პ 4:2, ლუკეზე — კალიარი 3:4 (3:3, დ.დ.), ბოლონია — რომა 1:0, უდინეზე — ჯენოა 3:0, პალერმო — პარმა 3:0, კიევო — ლაციო 1:1, პ 3:4, ფიორენცუოლა — ტორინო 2:1, ლეჩე — ნაპოლი ნუხელ გაიმართა.

# თორმეტის ნადავლი

მიუნხენის „ბაიერნი" 1956 წლის მერე ბუნდესლიგაშია. ამ ხნის მანძილზე ევროპის ამ ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს სათავეში ედგა 12 მწვრთნელი, რომელთაც ბავარიელებს 24 ტიტული მოაპოვებინეს.

ზლატკო ჩაიკოვსკი — 1965-1968. „ბაიერნს" ბუნდესლიგაში გადაუძღვა. ორჯერ მოიპოვა გერმანიის თასი, ერთხელ ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასი.
ბრანკო ზებეკი — 1968-13.3.1970. 1969 წელს გახდა გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი.
უდო ლატეკი — 14.3.1970-2.1.1975. სამჯერ გერმანიის ჩემპიონი, ერთხელ თასის მფლობელი, ჩემპიონთა თასის მფლობელი.
დიტმარ კრამერი — 16.1.1975-30.11.1977. ორჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი, მსოფლიო თასი.
დიულა ლორანტი — 2.12.1977-28.2.1979 მნიშვნელოვანი ტიტული არ მოუპოვებია.
პალი ჩერნაი — 29.2.1979 — 16.5.1983 ორჯერ გერმანიის ჩემპიონი, თასის მფლობელი, გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში.
რაინჰარდ ზაფტიგი — 17.5.1983-30.6.1983. გუნდს დროებით წვრთნიდა.
უდო ლატეკი — 1983-1987, სამჯერ ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ორჯერ — თასის მფლობელი.
იუპ ჰაინკერი — 1987-8.10.1991, ორჯერ იყო გერმანიის ჩემპიონი.
სორენ ლერბიუ — 9.10.1991 — 10.3.1992
ერიხ რიბეკი — 11.3.1992-27.12.1993, ჯილდო არ მოუპოვებია.
ფრანც ბეკენბაუერი — 28.12.1993-30.6.1994 გერმანიის ჩემპიონი.
ჯოვანი ტრაპატონი — 1994-1995, ჯილდო არ მოუპოვებია
ოტო რეჰაგელი — 1.7.1995

# ავსტრია

VI ტური. კაზინო — გრაცერი 2:1, რიედი — აუსტრია 0:0, რაპიდი — ადმირა ვაკერი 1:1, შტურმი — ტიროლი 2:0, ლინცერი — ფორვარტსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 13 |
| შტურმი | 6 | 4 | 0 | 2 | 15:8 | 12 |
| კაზინო | 6 | 3 | 2 | 1 | 8:7 | 11 |
| ტიროლი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:7 | 9 |
| ლინცერი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 9 |
| აუსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:4 | 7 |
| გრაცერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ადმირა ვაკერი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:13 | 7 |
| რიედი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:10 | 6 |
| ფორვარტსი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:15 | 0 |

# რუსეთი

XXIII ტური. სპარტაკი — დინამო 2:0, როტორი — ცსკა 2:2, სპარტაკ-ალანია (ვლადიკავკაზი) — კრილია სოვეტ 1:1, ლოკომოტივი — ტექსტილშჩიკი 2:0, ტორპედო — ურალმაში 3:0, როსტსელმაში — ლოკომოტივი ნ.ნ. 2:1, ჟემჩუჟინა — გაზოვიკი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიკავკაზი | 23 | 18 | 2 | 3 | 54-19 | 56 |
| ლოკომოტივი | 23 | 15 | 4 | 4 | 35-18 | 49 |
| ტორპედო | 23 | 14 | 5 | 4 | 34-19 | 47 |
| სპარტაკი | 23 | 13 | 5 | 5 | 54-22 | 44 |
| ცსკა | 23 | 12 | 4 | 7 | 44-26 | 40 |
| დინამო | 23 | 10 | 7 | 6 | 28-24 | 37 |
| როტორი | 23 | 10 | 5 | 8 | 48-34 | 35 |
| კამაზი | 23 | 8 | 5 | 10 | 29-25 | 29 |
| ტექსტილშჩიკი | 23 | 7 | 6 | 10 | 28-31 | 27 |
| ურალმაში | 23 | 8 | 3 | 12 | 27-35 | 27 |
| ჩერნომორეცი | 23 | 8 | 3 | 12 | 23-41 | 26 |
| ჟემჩუჟინა | 23 | 7 | 3 | 13 | 27-53 | 24 |
| როსტსელმაში | 23 | 6 | 4 | 13 | 29-47 | 22 |
| კრილია სოვეტ. | 23 | 4 | 7 | 12 | 25-48 | 19 |
| ნიჟ. ნოვგორ. | 23 | 3 | 9 | 11 | 20-34 | 18 |
| გაზოვიკი | 23 | 3 | 5 | 15 | 25-55 | 14 |

# საფრანგეთი

VII ტური. ნანტი — სენტ ეტიენი 2:2, გენიონი — ბორდო 2:2, მონაკო — ლილი 2:1, კანი — პარი სენ ჟერმენი 0:2, ლიონი — მეცი 1:1, მონპელიე — ნიცა 0:1, სტარსბური — მარტიგი 2:0, ლანსი — რენი 1:0, ლე ავრი — ოსერი 0:4, გენგამი — ბასტია 1:0,

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პ.ს.ჟ. | 7 | 5 | 2 | 0 | 16-5 | 17 |
| მეცი | 7 | 4 | 3 | 0 | 8-5 | 15 |
| გენგამი | 7 | 4 | 2 | 1 | 8-5 | 14 |
| მონაკო | 7 | 4 | 1 | 2 | 14-10 | 13 |
| ლანსი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-5 | 12 |
| ნანტი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-2 | 11 |
| სტრასბური | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| ოსერი | 7 | 3 | 1 | 3 | 16-8 | 10 |
| მონპელიე | 7 | 3 | 1 | 3 | 11-9 | 10 |
| ბასტია | 7 | 3 | 1 | 3 | 9-9 | 10 |
| სენტ ეტიენი | 7 | 2 | 3 | 2 | 11-9 | 9 |
| რენი | 7 | 3 | 0 | 4 | 8-12 | 9 |
| ნიცა | 7 | 2 | 3 | 2 | 6-7 | 9 |
| ბორდო | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| მარტიგი | 7 | 2 | 1 | 4 | 3-10 | 7 |
| კანი | 7 | 2 | 0 | 5 | 10-15 | 6 |
| გენიონი | 7 | 1 | 3 | 3 | 6-13 | 6 |
| ლიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-10 | 5 |
| ლე ავრი | 7 | 1 | 2 | 4 | 2-13 | 4 |
| ლილი | 7 | 0 | 2 | 5 | 3-10 | 2 |

# პოლონეთი

V ტური. პუტნიკი — ზაგლებიე 3:2, ამიცა — სიარკა 1:0, ლ.კ.ს. — ლეგია 2:1, რაკოვი — ვიძევი 0:1, სტომილი — ბალხატოვი 2:0, შლიონსკი — სოკოლი 1:1, პოგონი — ლეხი 3:1, გურნიკი — სტალი 3:1, ოლიმპია — გ.კ.ს. თამაში არ შედგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:3 | 13 |
| ლეგია | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| სტომილი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| ოლიმპია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 |
| ამიცა | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| პოგონი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| პუტნიკი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:10 | 9 |
| გურნიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| ლეხი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:9 | 6 |
| სტალი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:14 | 6 |
| ზაგლებიე | 5 | 1 | 2 | 2 | 8:6 | 5 |
| სოკოლი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:11 | 5 |
| ლ.კ.ს. | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |
| რაკოვი | 5 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| გ.კ.ს. | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 3 |
| სიარკა | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | 3 |
| შლიონსკი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:8 | 2 |
| ბალხატოვი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:11 | 0 |

# შვეიცარია

VIII ტური. არაუ — ბაზელი 2:0, ლოზანა — გრასჰოპერი 1:2, სენტ გალენი — ქსამაქსი 1:1, იანგ ბოიზი — ლუცერნი 0:4, ციურიხი — სერვეტი 2:1, ლუგანო — სიონი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 8 | 6 | 0 | 2 | 11:8 | 18 |
| გრასჰოპერი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 13 |
| სენტ გალენი | 8 | 3 | 4 | 1 | 13:6 | 13 |
| ქსამაქსი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:9 | 13 |
| ლუცერნი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 12 |
| ბაზელი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:8 | 10 |
| სერვეტი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:10 | 9 |
| ლოზანა | 8 | 2 | 3 | 3 | 10:8 | 9 |
| იანგ ბოიზი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:11 | 9 |
| არაუ | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| ლუგანო | 7 | 2 | 1 | 4 | 7:13 | 7 |
| ციურიხი | 8 | 1 | 1 | 5 | 4:18 | 4 |

# სამხრეთი აფრიკა: არა რაგბითა ერთითა

იოჰანესბურგის პირველი ეროვნული ბანკის 80-ათასიან სტადიონზე გაისად, 13 იანვარს გაიხსნება აფრიკის ჩემპიონატი, რომელსაც ამავე სტადიონზე 3 თებერვალს ფინალური შეხვედრა დააგვირგვინებს. ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებში გამარჯვებული 16 მონაწილე ქვეყანა უკვე ცნობილია. ისინი 13-25 იანვარს ფინალური ეტაპების ჯგუფურ შეხვედრებს გამართავენ. რვა გამარჯვებული 27-28 იანვარს მეოთხედფინალებში შეხვდება ერთმანეთს. 31 იანვარს ნახევარფინალები გაიმართება, 3 თებერვალს კი, როგორც მოგახსენეთ, ფინალია. გარდა ზემოხსენებული იოჰანესბურგის პირველი ეროვნული ბანკის სტადიონისა, თამაშებს უმასპინძლებს 52-ათასიან დურბანის „კინგზ პარკი", 37-ათასიანი ბლუმფონტეინის „ფრი სტეიტ სტედიუმი" და პორტ-ელიზაბეტის „ბოტ ერასმუსი", რომელიც 45 ათას მაყურებელს იტევს. ჩემპიონატში მონაწილეობენ:

**სამხრეთი აფრიკა**, რომელიც ფინალურ სტადიაზე მასპინძლის უფლებით, შესარჩევი შეჯიბრების გარეშე მოხვდა. კონტინენტის პირველობაზე დებიუტანტია. გუნდის მწვრთნელია კლაივ ბერკერი.

**ალჟირი**, რომლისთვისაც ეს მეცხრე ჩემპიონატი იქნება. ნაკრები 1990 წელს ჩემპიონი გახდა, 1980-ში კი ფინალში გავიდა. მწვრთნელია ალი ფერგანი.

**ანგოლა**, მასპინძლებივით, პირველად მონაწილეობს ფინალურ ეტაპზე. გუნდს კარლოს ალინიო უდგას სათავეში.

**ბურკინა ფასო**, რომლისთვისაც ეს მეორე ჩემპიონატია. პირველად შესარჩევ შეჯიბრებას 1978 წლის პირველობაზე გასცდა. მწვრთნელი: იდრისა ტრაორე.

**კამერუნი**, ალჟირის მსგავსად, მეცხრე გავიდა დასკვნით შეჯიბრებაში, მაგრამ მეტი ტიტული მოიპოვა. 1984 და 1988 წლებში გუნდი ჩემპიონი გახდა. 1986 წელს კიდევ ერთხელ ჰქონდა წარმატების შანსი, მაგრამ ფინალში წააგო. გუნდს ჟულ ნიონგა ხელმძღვანელობს.

**სპილოს ძვლის ნაპირი** აფრიკის ჩემპიონატზე მეთერთმეტედ კი ჩავა, თუმცა წარმატებას ერთადერთხელ, 1992 წელს მიაღწია. ახლანდელ ნაკრებს ფრანგი პიერ პლეიმელდინგი წვრთნის.



ასე ხარობენ სპილოს ძვლის ნაპირელები

**ეგვიპტე** მეთოთხმეტედ გავიდა ფინალურ ეტაპზე. 1957, 1959 და 1986 წლებში ჩემპიონი გახდა, 1962-ში ფინალში იყო, 1994-ში კი მეოთხედფინალში. მწვრთნელია მოჰსენ სალეჰი.

**გაბონისთვის** მეორე ჩემიონატია. გუნდს სათავეში ალაინ და კოსტა საუარესი უდგას.

**განა** მეათედ გასცდა შესარჩევ ჯგუფს. არის ოთხზის ჩემპიონი 1963, 1965, 1978 და 1982 წლებში. 1994-ში მეოთხედფინალში გავიდა. ნაკრებს ბრაზილიელი ისმაილ კურტცი ხელმძღვანელობს.

**ლიბერია** დებიუტანტია. ეს მან ვილფრედ ლადნერის ხელმძღვანელობით მოახერხა.

**მოზამბიკი** მეორედაა ჩემპიონატზე. მას უკრაინელი ვიქტორ ბონდარენკო წვრთნის.

**ნიგერიისთვის** ეს მეათე პირველობაა. 1980 და 1994 წლებში ჩემპიონი გახდა. 1984, 1988 და 1990 წლებში კი ფინალისტი იყო. ნიგერიელებს ბრაზილიელი კარლოს ალბერტო სილვა წვრთნის

**სიერა ლეონე** მეორედ გავიდა. მწვრთნელია მოჰამედ კალონი.

**ტუნისისთვის** მეექვსე ჩემპიონატია. 1965 წელს ფინალში იყო. გუნდს პოლონელი ჰენრი კასპერჩაკი წვრთნის.

**ზაირი** ფინალურ სტადიაზე მეცხრედაა. 1968 და 1974 წლებში ჩემპიონი იყო. 1994 წელს მეოთხედფინალში გავიდა მწვრთნელია ლისადიხუ.

**ზამბია** მეშვიდედ მონაწილეობს. 1974 და 1994 წლებში ფინალში იყო. მწვრთნელად დანიელი როალდ პოლსენი მუშაობს.

# სანამ ძიძები მორიგდებოდნენ



კობა ჟორჟიკაშვილი ზაზა ნეკერაშვილის გასწრებას ცდილობს

## შევარდენი 3:1 იბერია

V ტური, 30 აგვისტო

შევარდენი 1906: ბერაძე, დათუაძე (თამაზაშვილი 78), მჭედლიშვილი, ალადაშვილი, ჟორჟიკაშვილი, გ. ჯელაძე, კანკავა, მინდიაშვილი (ამისულაშვილი 73), ხეტაშვილი (გოგოლაძე 46), მაზანაშვილი, ქოიავა

იბერია: გვარამაძე (გოგალაძე 46), ნეკერაშვილი, გეგეჭკორი, ჩიბაშვილი, ლომიძე, ხარაზიშვილი, იობაშვილი (ნოზაძე 46), ვეშაპიძე, ტყემალაძე, ქობელაშვილი, გლუნჩაძე.

0:1 ქობელაშვილი (12), 1:1 დათუაძე (23), 2:1 დათუაძე (34), 3:1 ქოიავა (73)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

საფეხბურთო კლუბ „შევარდენის“ გარშემო ატეხილ დავიდარაბას, როგორც ეტყობა, უახლოეს ხანს მოეღება ბოლო. ეს ამბავი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მატჩის მიმოხილვას შესავლად წავუმძღვაროთ, ამიტომ გთავაზობთ კლუბის ორი ხელმძღვანელთაგანის ზურაბ ქიტიაშვილის და გიორგი ხაზარაძის ნაუბარს.

ზურაბ ქიტიაშვილი, შპს „შევარდენის“ პრეზიდენტი: პროექტი ორი საფეხბურთო კლუბის გაერთიანების შესახებ უკვე შედგენილია, მაგრამ დარჩა ზოგიერთი ჯერ კიდევ დასაზუსტებელი დეტალი. რამდენიმე დღეში ყველაფერი გაირკვევა და ჟურნალისტებს საქმის ვითარებას პრეს-კონფერენციაზე გავაცნობთ. მინდა აღვნიშნო, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოო იქნება.

გიორგი ხაზარაძე, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მმართველი: ჩვენს გაერთიანებას საფუძვლად მხოლოდ ერთი აზრი ედო – თბილისში კიდევ ერთი ძლიერი საფეხბურთო კლუბი შეგვექმნა. ამ საქმის მოგვარება, ჩემი აზრით, ორ მხარეს უფრო გაუადვილდება, ძალა, მოგეხსენებათ, ერთობაშია. ჩვენ მზად ვართ ყოველგვარი ხარჯები საკუთარ თავზე ავიღოთ, ოღონდ იმ პირობით, თუ გუნდს „ლოკომოტივი-შევარდენი“ ერქმევა. არის კიდევ სხვა საკითხები, რომლებიც ჯერაც დასაზუსტებელია. ჩვენი დევიზია ვიყოთ მეგობრულად, ძმურად, ვითანამშრომლოთ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. იმედია, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება...

ამ თამაშს ორივე გუნდი ნაკლული საბრძოლო შემადგენლობით შეხვდა: მასპინძლებს აკლდათ შემტევი ნახევარმცველი გოდერძიშვილი, რომელსაც ჰეპატიტი შეყრია, მცირე ტრავმის გამო გოგოლაძემაც მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა, სამაგიეროდ, გუნდს შეემატა ტრავმა მოშუშებული თავდამსხმელი ზურაბ ქოიავა და იგი ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მინდორზე. სტუმართაგან ვერ ითამაშეს დაშავებულმა ლაცაბიძემ, დისკვალიფიცირებულმა მაჭაცარიამ და ჩადუნელმა.

თამაში, თავიდან ბოლომდე, ნელ ტემპში წარიმართა. არ ვიცი რატომ, მაგრამ „შევარდენმა“ მატჩი ისე დაიწყო, თითქოს სამი ქულა ჯიბეში ედო. მართალია, მასპინძელთა უპირატესობა დასაწყისიდანვე გამოიკვეთა, მაგრამ მათ თამაშს აშკარად ეტყობოდა არხეინობა. მარცხენა ფრთაზე აქტიურობდა ჟორჟიკაშვილ-ქოიავას დუეტი. სწორედ ამ ორის აქტიურობის წყალობით შეიქმნა პირველი სახიფათო მომენტი სტუმართა კართან: ქოიავამ იოლად ჩამოიცილა თავისი მეურვე და ბურთი მიაწოდა ჟორჟიკაშვილს, რომლის ჩაწოდებულს წამით ვერ მიუსწრო მინდიაშვილმა. მალე მასპინძლები არხეინობისა და თავდაჯერებულობისთვის დაისაჯნენ: ხაშურელთა პირველივე კონტრშეტევა მოედნის შუაში კანკავამ წესის დარღვევით შეაჩერა, იბერიელებმა ბურთი პირდაპირ საჯარიმოში ჩაჰკიდეს, აქ კი ყველაზე მაღლა მათი თავდამსხმელი ქობელაშვილი ახტა და თავით ანგარიშიც გახსნა. ამ მომენტში მასპინძელთა მეკარე ბერაძე აშკარად შეცდა. საერთოდაც, პირველ ნახევარში მეკარეებმა სუსტად ითამაშეს. გაშვებულმა გოლმა „შევარდენი“ თითქოს დააბნია და რამდენიმე წუთს თამაშიც აერია, მერე და მერე კი მასპინძლები დაწყნარდნენ და დალაგებულად შეუტიეს. ისევ მარცხენა ფრთა – ქოიავა-ჟორჟიკაშვილი და პასი დათუაძეს. ამან ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, კარისკენ დაიძრა, ხელი რატომღაც არავინ შეუშალა და ამ ჯერაც ყმაწვილმა ახალბედამ, რაკი წინააღმდეგობას ვერ წააწყდა, ერთი შეხებით გაისწორა ბურთი და ოცდაათი მეტრიდან უძლიერესად დაარტყა. გვარამაძემ რეაქცია დააგვიანა და ანგარიში გათანაბრდა. „შევარდენმა“ შეტევებს უხშირა, „იბერია“ კი კონტრშეტევის იმედად დარჩა, თუმცა სახეირო ვეღარაფერი გააწყო. ტაიმის შუაში კანკავა სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ პოზიცია ვერ ჰქონდა მოხერხებული და გვარამაძემ მისი დარტყმული კუთხურზე მოიგერია. ცოტა ხანში ისევ თბილისელთა მარცხენა ფრთამ იყოჩაღა – ქოიავამ კედელი გაითამაშა მაზანაშვილთან და მეკარის სიახლოვეს კარგადაც ჩააწოდა, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა, ყველას გასაოცრად, ბურთი გაატარეს. ამ პერიოდისთვის „შევარდენი“ ხშირად ცვლიდა შეტევის მიმართულებას, ხან მარჯვენა ფრთა უტევდა, ხანაც მარცხენა. მარჯვენა ფრთაზე ჯელაძემ მეტოქე მოატყუა და დათუაძეს მიაწოდა, ამანაც იოლად ჩამოიცილა სტუმართა ლიბერო, ვეტერანი გეგეჭკორი, რომელიც, სხვათა შორის, საუკეთესო იყო „იბერიას“ რიგებში, მას კი ისღა დარჩენოდა, შემტევისთვის ფეხი გამოედო. ხელსაყრელი მდგომარეობიდან დარტყმული ჯარიმა ასცდა კარს. სტუმრებმა შეტევა წამოიწყეს, მაგრამ მჭედლიშვილმა საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან გადაცემა ჩაჭრა და მოედნის ცენტრში მაზანაშვილი მოძებნა. ამ უკანასკნელმა ბურთი მყისიერად გადააწოდა პირველ ნახევარში აქტიურობით გამორჩეულ დათუაძეს და მეკარესთან პირისპირაც გაიყვანა. საბოლოოდ გვარამაძე მოტყუებული დარჩა, ბურთი კი ბადეში აფართხალდა. მასპინძელთა დაწინაურებამ თამაშის ისედაც საშუალო ტემპი კიდევ უფრო შეანელა და ტაიმის ბოლომდე საინტერესო აღარაფერი მომხდარა. ეგ კი იყო, სტუმარი იობაშვილი მოედნის ცენტრში ბურთისთვის ბრძოლაში დაშავდა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ამ ეპიზოდში ქებას იმსახურებდა მასპინძელთა გუნდის ექიმი – ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულმა არ გაარჩია თავისიანი და სხვისი და პირველმა აღმოუჩინა დახმარება დაზარალებულ მეტოქეს.

მატჩის მეორე ნახევარს თავისუფლად ეთქმოდა გამოუყენებელი საგოლე მომენტების ტაიმი. მასპინძელთა რიგებში კახა გოგოლაძე გამოჩნდა და ზურაბ ქოიავასთან ერთად თავდასხმაში მეტად სახიფათო წყვილი შექმნა. ამათ მხარს მაზანაშვილი და ჯელაძე უმაგრებდნენ. სტუმრებმა სათადარიგო მეკარე გოგალაძე გამოიყვანეს და არც შემცდარან – სწორედ მას უნდა უმადლოდნენ, რომ მატჩი კატასტროფული ანგარიშით არ დაუსრულდათ. როგორც შემდეგ შევიტყვე, ეს ამ მეკარის პირველი თამაში გახლდათ და მაინც ძალიან ივაჟკაცა, სამი-ოთხი მკვდარი ბურთი აიღო. ერთი ეს იყო, 50-ე წუთზე: საჯარიმოში შეჭრილმა ჯელაძემ ახლო მანძილიდან კი დაარტყა, მაგრამ გოგალაძე ჩინებულად დაუხვდა ხიფათს. ცოტა ხანიც და ისევ ჯელაძის გარღვევა, რასაც საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, გოგალაძემ შეუჩერებლად დაარტყა, ოღონდ მცირედით არაზუსტად. რამდენიმე წუთში ქოიავამ ჩაჭრა ნოზაძის გადაცემა და პირისპირ გავიდა მეკარესთან. საბოლოო დარტყმა ისევ უზუსტოა. გოგოლაძის გარღვევას მარცხენა ფრთიდან სახიფათო გადაცემა მოსდევს, ბურთი მაზანაშვილს მისდის, მაგრამ მეკარის თავგანწირვამ სიტუაცია განმუხტა. გოგოლაძე კიდევ ერთხელ გადის მეკარესთან პირისპირ და ისევ არაზუსტად ურტყამს. სტუმრები მეკარემ ამის შემდეგაც გადაარჩინა, მაგრამ ყველაფერს თავისი ბოლო აქვს და... ქოიავამ ისევ ჩაჭრა მცველის გადაცემა და გოგოლაძე გარღვევაზე გაიყვანა. მისი დარტყმული გოგალაძემ კი მოიგერია, მაგრამ მცველებმა ისევ ვერ ივარგეს – მოუსვენარ ქოიავას არავინ შეუშალა ხელი და მანაც ანგარიში გაზარდა.

ამ გოლის შემდეგ გამარჯვებული გამოსაცნობი აღარ იყო. საინტერესო ისღა მოხდა, რომ თამაშის ბოლოს შევარდენელმა მაზანაშვილმა თავის თავდამსხმელებს იმისთანა პასი გაუხერხა, დიდი მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა. ამასობაში მსაჯმა თამაში დაამთავრა. ფეხბურთელებმა გასახდელებს მიაშურეს, თქვენი მონამორჩილი კი გამარჯვებულთა მთავარ მწვრთნელს ჯონი ჯანელიძეს გაესაუბრა:

– მართალია, მოვიგეთ, მაგრამ გუნდს სტაბილურობა და შეთამაშება აკლია. გუნდის საბოლოოდ დაკომპლექტება ჯერ არ დასრულებულა. რა თქმა უნდა, შეცდომებიც საკმაო გვაქვს და მათ გასასწორებლად დიდი შრომაც გვმართებს. ეს იმის ბრალია, რომ გუნდი ახალი შეკრებილია. მალე დაგვემატებიან ყოფილი სამტრედიელები გოგიტაძე და ჯიკაევი, ჩვენთან ვარჯიშობენ მეკარე სიდამონიძე და ნახევარმცველი მოსულიშვილი. გუნდს წვრთნისა და მზადების ყველა პირობა აქვს, რაც კლუბის დირექტორატის დამსახურებაა, კერძოდ, გოგი ხაზარაძის, ზურაბ ქიტიაშვილის და სხვათა. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ არ გვაქვს საკუთარი ავტობუსი და ხშირად გვიწევს წვალება. ახალშეკრებილი გუნდის კვალობაზე ვეცდებით ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში რაც შეიძლება უკეთ გამოვიდეთ.

მამუკა კვანტალიანი

გია ახალაძის
ფოტოები



თბილისელმა დავით დათუაძემ ხაშურელი ივანე ხარაზიშვილი დასცა

პირველი ჯგუფი

IV ტური, 23 აგვისტო

### დურუჯი 0:6 ტორპედო

დურუჯი: პაქსაშვილი, მოსიაშვილი (ცინცაძე 77), ოსაძე, ყანჩაშვილი, ბოჭორიშვილი, კობიაშვილი, ქარენაშვილი (ჯიქურიშვილი 72), ოსეფაშვილი (ჩიხრაძე 77), ყიზილაშვილი, დარჩიაშვილი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, ვოსკანოვი, წიქრიშვილი, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე72), ხუნდაძე, ნოზაძე (მეგრელაძე 77), აშვეთია (შენგელია 72), კვეტენაძე

0:1 აშვეთია (14), 0:2 ჩხეტიანი (27), 0:3 აშვეთია (51), 0:4 აშვეთია (66), 0:5 ნოზაძე (76), 0:6 ხუნდაძე (87)

გაფრთხილება: ყიზილაშვილი

მსაჯი: მ. კობიაშვილში (დუშეთი)

### ეგრისი 1:4 შევარდენი

ეგრისი: ბულია, ხევსურიანი, დანელია (ჩხიკვაძე 55), ბენდელიანი, წულაია, ნოდია, შალამბერიძე, რუსია, ბუკია (გოგუა 60), თვარაძე, იოსელიანი (კალანდაძე 46)

შევარდენი 1906: ბერაძე, ალადაშვილი, მჭედლშივილი, თამაზაშვილი, ჟორჟიკაშვილი, ჯელაძე, კანკავა, მინდიაშვილი (ქოიავა 76), გოგოლაძე (ხეტეშვილი 73), მაზანაშვილი, ამისულაშვილი (დათუაძე 75)

0:1 ამისულაშვილი (11), 0:2 გოგოლაძე (50), 0:3 ჯელაძე (65), 0:4 კანკავა (73), 1:4 თვარაძე (87)

გაფრთხილება: ჟორჟიკაშვილი

მსაჯი: გ.ახკაროლლი (ქარელი)

### იბერია 0:4 მარგვეთი

იბერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, გეგეჭკორი, კაციაშვილი, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (გლუნჩაძე), იობაშვილი, ჩადუნელი, ტყემალაძე, ქობელაშვილი, ი.ბუხრიკიძე (ჩიბაშვილი)

მარგვეთი: გვენცაძე (ნიქაბერიძე 89), მაღლაკელიძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე, ლონლაძე, უკლება (გენაძე 69), კაკუბავა, სულაკაძე, ნიკლაური, კიკნაძე, ენდელაძე

0:1 გურიელიძე (46), 0:2 ნიკლაური (84), 0:3 ენდელაძე (85), 0:4 ენდელაძე (873)

პენალტი ვერ გამოიყენა ლაცაბიძემ (85)

გაფრთხილება: უკლება, ლონლაძე, კაკუბავა, კაციაშვილი, ხარაზიშვილი, ლაცაბიძე

გაძევება: ჩადუნელი (58)

მსაჯი: ს.კვარაცხელია (ზუგდიდი)

### კახეთი 2:2 დილა

კახეთი: ჩიქვინიძე, ნონიკაშვილი, კაციტაძე, სანადირაძე (ქაძე 60), ნაკუდაიძე, შონია, ათუაშვილი, ჯიშიაშვილი, გაგნაშვილი (ბაბულაიძე 70), სოლოლაშვილი, ლვინიაშვილი

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ჯ.გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ტაბატაძე 89), მარლიშვილი (ხ.გაგნიძე 89), ხორგუაშვილი, რევაზიშვილი

1:0 ლვინიაშვილი (10), 1:1 ხორგუაშვილი (43), 2:1 ნაკუდაიძე (75), 2:2 ლომიძე (89)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### გურია 0:3 მეტალურგი

გურია: ჭურაძე, ღურწკაია, ჯანაშია, კუკულაძე, ჯიბუტი (განიევი 46), ლორია, ყოლბაია, ახვლედიანი (იმნაძე 46), გოგობერიშვილი, ჭუმბურიძე (ჭყონია 18), დანიბეგაშვილი

მეტალურგი: დოლიძე, ფოფხაძე, ტარტარაშვილი, არჩვაძე (ბუცურეიშვილი 70),თევზაძე (ამბიძე 80), რეხვიაშვილი, ყაველაშვილი, ჩალაძე, პერტია (კვინტრაძე 65), მეტრეველი, ალადაშვილი

0:1 ფოფხაძე (24), 0:2 კვინტრაძე (73), 0:3 კვინტრაძე

მსაჯი: შ.ხანიაშვილი (თბილისი)

### სიონი 5:2 ზუგდიდი

სიონი: დალაქიშვილი, ვაშაკიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, რუხაძე, სამხარაძე (ჯაფარიძე 35), გოგოლაძე, ტოროშელიძე, მოსეშვილი (ჯაგიდისი 55), ფაიქაძე, ანდღულაძე.

ზუგდიდი: მიქავა, ახვლედიანი (ერქვანია 73), ე. ბერიშვილი, თუთბერიძე, მიქაძე, ჭაჭუა, კვარაცხელია, აფაქიძე, გაბედავა (ჯურხანაძე 68, ჯაბუა 80), ქაძანაია, ლ.ბერიშვილი

0:1 კვარაცხელია (18), 0:2 კვარაცხელია (29), 1:2 ფაიქიძე (30), 2:2 ფაიქიძე (43), 3:2 ჯაგიდისი (60), 4:2 რუხაძე (68), 5:2 შაკიაშვილი (75)

გაფრთხილება: ჭაჭუა, ფაიქიძე, ვაშაკიძე, ჯაფარიძე, ყიფშიძე

გაძევება: მიქაძე (60)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

პირველი ტურიდან. 26 აგვისტო

### სამტრედია 5:0 სიონი

სამტრედია: დოლაბერიძე, იონანიძე, გუჩუა, ჯელაძე, ბერაძე, ამაშუკელი (ჩომახიძე 75), გოგიაშვილი, ბ.დარასელია, დ.ჯანაშია, ფანჩულიძე, ჩხაიძე

სიონი: დალაქიშვილი, მეფარიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, რუხაძე, გაბრიჭიძე (ანდღულაძე 46), გოგოლაძე, (კ.მეტრეველი 57), ტოროშელიძე, მოსეშვილი, ფაიქაძე, ჯაფარიძე (სამხარაძე 63)

1:0 იონანიძე (15), 2:0 ბ.დარასელია (52 პ), 3:0 იონანიძე (55), 4:0 იონანიძე (57) 5:0 იონანიძე (89)

გაფრთხილება: გუჩუა

მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

### II ჯგუფი

დასავლეთი, 25, 26 აგვისტო. I ტური. კახაბერი-იაგუარი (ხელვაჩაური) — ანჯელი (აბაშა) 2:0, მეშახტე (ტყიბული) — რწმენა (ქუთაისი) 0:0, ბახმარო (ჩოხატაური) — მარგვეთი-2 (ზესტაფონი) 0:1, მაღაროელი (ჭიათურა) — კოლხეთი 2 (ფოთი) 2:1, საპოვნელა (თერჯოლა) — ჩიხურა (საჩხერე) 4:2, სულორი (ვანი) — იმერეთი (ხონი) 2:0, სამგურალი (წყალტუბო) — მამისონი (ონი) 5:0, სქური (წალენჯიხა) — შუქურა (ქობულეთი) 3:5, სამეგრელო (ჩხოროწყუ) — ჩხერიმელა (ხარაგაული) 5:2, მერცხალი (ოზურგეთი) — დინამო-2 (ზუგდიდი) 1:1

აღმოსავლეთი, 25, 26 აგვისტო. I ტური. მერანი 91 (თბ) — ალგეთი (მარნეული) 5:0, მესხეთი (ახალციხე) — ცხინვალი 0:0, შირაქი (დედოფლისწყარო) — ენერგეტიკოსი (გარდაბანი) 2:1, ალაზანი (გურჯაანი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 0:4, ასკ (თბილისი) — დინამო-2 (თბილისი) 2:2, თორი (ბორჯომი) — შ.ს. აკადემია (თბილისი) 2:3, მრეტები (თბილისი) — ყინერი (ყინვალი) 4:0, ჭაბუკიანი — იბერია (ქარელი) 6:2, აზოტი (რუსთავი) — არმაზი (მცხეთა) 0:0, მორკინალი (თბილისი) — კოდაკო (თბილისი) 0:0

საქართველოს თასი.
მეთექვსმეტედფინალის წილისყრა.

მაღაროელი (ჭიათურა) — ზუგდიდი
უნივერსიტეტი (თბ.) — ტორპედო (ქუთ.)
მრეტები (თბილისი) — დილა (გორი)
კახეთი (თელავი) — შევარდენი 1906
გურია — მეტალურგი (რუსთავი)
შსს აკადემია (თბ.) — ალგეთი (მარნეული)
დურუჯი (ყვარელი) — კოლხეთი 1913
რწმენა (ქუთ.) — მარგვეთი
არმაზი (მცხეთა) — დინამო 2 (თბ.)
ანჯელი (აბაშა) — იბერია (ხაშური)
იბერია (ქარელი) — ეგრისი (სენაკი)
მერანი 91 (თბ.) — სიონი (ბოლნისი)

მატჩები გაიმართება 3 11 სექტემბერს სამტრედია და ბათუმი თასისთვის ბრძოლაში მერვედფინალიდან ჩაებმებიან ხოლო თბილისის დინამო მეოთხედფინალიდან

# რასაცა დასთეს...

**ტორპედო 3:0 სიონი**

V ტური, 30 აგვისტო

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, კვეტენაძე, წიქარიშვილი, ჩხეტიანი (შენგელია 76), ხუნდაძე (გიორგობიანი 48), ნოზაძე, აშვეთია, ვაჩიბერაძე

სიონი: დალაქიშვილი, მეფარიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, რუხაძე, გაბრიჭიძე (ანდღულაძე 61), გოგოლაძე (სამხარაძე 77), ტორომელიძე, მოსაშვილი, ფაიქიძე, ჯაფარიძე

1:0 ხუნდაძე (34), 2:0 ნოზაძე (46), 3:0 აშვეთია (84)

გაფრთხილება: ნოზაძე; რუხაძე, ჯაფარიძე

გამოუყენებელი პენალტი: შეყრილაძე (62)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

ეს ქუთაისელები გადაგრევენ! როცა ფული და სახსრები ჰქონდათ და ძლიერი მოთამაშეებიც ჰყავდათ, დიდს ვერაფერს მიაღწიეს, ხოლო როცა უსახსრობით გუნდი ლამის იყო დაეშალათ, მაშინ ათამაშდნენ და მერე როგორ! ორი წლის წინ, როცა საქმე გავარდნაზე ჰქონდათ, საბოლოოდ იმ საუკეთესო ხუთეულში მოხვდნენ, მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელება რომ შეეძლო, წელს კი, 16-17 წლის ბიჭებით „გაძლიერებულნი“ სასწაულებს ახდენენ: 5 მატჩიდან 5 მოგება! ახლა ბურთების შეფარდებას აღარ იკითხავთ — 17:0! ერთი სიტყვით, მეხუთე ტურში რედაქციის მიერ გამოყოფილი ქუთაისში სამივლინებო თანხა არამც და არამც არ გახლდათ წყალში გადაყრილი...

აუტსაიდერ „სიონთან“ ტორპედოელები, ცოტა არ იყოს, ყინჩად გამოვიდნენ, აქაოდა სამტრედიელებზე ნაკლებნი რითი ვართ, იმათ თუ ხუთი გაუტანეს, არც ჩვენ დავაკლებთ ხელსო. მაგრამ, ნურას უკაცრავად — ბოლნისელები მაგრად დადგნენ და კაი ნახევარი საათი გაუძალიანდნენ კიდეც ლიდერს. ეგ იყო, ბოლნისელებს ჯაგიდისის არყოფნის გამო წინ ქუთათური ლეგიონერი დავით ფაიქიძე ობლად დაეტოვებინათ და ისიც ერთი კაცის კვალობაზე კი ცდილობდა, მაგრამ სამ-ოთხ ყოფილ თანგუნდელთან, აბა, რა უნდა გამოსვლოდა. კიდევ ერთი ქუთათური ლეგიონერი დავით რუხაძე დაცვაში ირჯებოდა, მაგრამ ტრიბუნიდანაც ჩანდა, რომ, როგორც კი ტორპედოელები გამოფხიზლდებოდნენ და ლიდერობით მოგვრილ ეიფორიას თავს დააღწევდნენ, ბოლნისელებს შავ დღეში ჩააგდებდნენ. ამ ნახევარ საათში ხუნდაძეს, ნოზაძეს, აშვეთიას საგოლე დარტყმები გაუცუდდათ, ვაჩიბერაძემ და შეყრილაძემ კი როგორ ვერ გაიტანეს, ვერაფრით ამიხსნია: პირველმა სამი მეტრიდან მაინცდამაინც მეკარეს მოარტყა ბურთი, მეორის თაური კი დალაქიშვილმა კარის ხაზზელა შეაჩერა. სიტყვამ მოიტანა და, ბოლნისელთა მეკარემ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ერთი პირობა გამიკვირდა კიდეც, ამ გუნდმა ოთხ თამაშში თორმეტი გოლი როგორ გაუშვა-მეთქი. ისე, რაც უნდა პარადოქსული იყოს, ვიტყვი, რომ ბოლნისელთა დაცვის სისუსტე.... ნახევარდაცვის ბრალია, რომელიც, ფაქტიურად, „არ არსებობს“ და მეტოქის ფეხბურთელებს შუა მინდორში ვერ უქმნის წინააღმდეგობას. ასეთ შემთხვევაში კი, მოგეხსენებათ, დაცვაც და მეკარეც ცოდვანი არიან...

მაგრამ დავუბრუნდეთ მატჩს. მრავალი საგოლე მომენტის გაცუდების შემდეგ ქუთათურებმა მაინც ივარგეს — ნოზაძემ მარჯვნიდან ოსტატურად ჩააგდო ბურთი საჯარიმოში, აშვეთია მცველებთან და მეკარესთან ბრძოლაში ჩაება, ამასობაში კი გუნდის კაპიტანმა ხუნდაძემ იმარჯვა და ჭვინტი წაჰკრა ბურთს 1:0. ამის მერე ამდენი უსაქმურობით შეწუხებულმა ქუთაისელთა მეკარემ საკუთარი საჯარიმოს წინ უზუსტესი პასი მისცა... ბოლნისელ ტორომელიძეს, ის კი, ისე დაიბნა, ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა და ქუთათურთა კარიც გადარჩა.

მეორე ტაიმის დაწყება და გოლი ერთი იყო: წიქარიშვილმა მარცხნიდან საჯარიმოში აბრაგანი ჩააგდო, ბოლნისელებმა ხელოვნური თამაშგარე განიზრახეს, მაგრამ ვერ მოზომეს და ნოზაძე და აშვეთია დალაქიშვილთან პირისპირ დატოვეს. ტექნიკურმა ნოზაძემ ლამაზად გადაატარა ბურთი თავზე დალაქიშვილს — 2:0. საქმე მოთავებული იყო და, რევაზ ბურკაძემ დაშავებული ხუნდაძე შეცვალა, ტრავმა უფრო რომ არ გართულებოდა. დარჩენილი დრო კი იმითლა იყო საინტერესო, შეძლებდა თუ არა ქუთათურთა ახალგაზრდა ბომბარდირი გოლის გატანას. აშვეთიამ ეს მხოლოდ მატჩის მიწურულს მოახერხა, როცა შეცვლაზე ერთობ ნაყოფიერად შემოსული გიორგობიანის ზუსტი თაური პასის შემდეგ დიდი ანგარიშით გაამარჯვებინა თავისიანებს. მანამდე კი მეორე ტაიმის შუაწელში ნოზაძის აქტიურობის შემდეგ აშვეთიამ პენალტიც კი დაიმსახურა, რომელიც შეყრილაძემ ისე უზუსტოდ დაარტყა, რომ ხარიხას ორი მეტრით გადააცილა კიდეც...

როგორც ჟურნალისტი, ვცდილობდი, მიუკერძოებელი ვყოფილიყავი და არავისთვის მექომაგნა, მაგრამ გამოვტყდები და ვეტყვი, ერთი სული მქონდა შეცვლაზე თხუთმეტიოდე წუთით გამოსულ გიორგი შენგელია როდის გახსნიდა საპირველჯგუფო გოლების ანგარიშს. დიდი მცდელობის მიუხედავად, რამაზის ძემ ეს ვერ მოახერხა და მეც იმითლა „ვიმშვიდებდი“ თავს, იქნება ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მეექვსე ტურში, შენგელიებისთვის სიმბოლურ „დინამო“ „ტორპედოს“ შეხვედრაში მოხდეს-მეთქი...

მატჩმა დამარწმუნა, რომ ქუთათურთა ლიდერობა მართლაც კანონზომიერია, ბურკაძეს შეკრული კოლექტივი ჰყავს, ძირითადად ახალგაზრდა ბიჭებით დაკომპლექტებული. გამთამაშებელი ნოზაძეც ჩინებულად უძღვება საქმეს და შუა მინდორში, საჭიროების შემთხვევაში, კარგადაც „ჭიდაობს“, მარჯვნივ ნაყოფიერად ირჯება ახალგაზრდა ჩხეტიანი, დიდი სამუშაოს ასრულებს ხუნდაძე, აშვეთია კი წინ მართლაც კარგი საყურებელია. მოკლედ, რიონისპირა ქალაქში „დიდი გუნდის“ ჩანასახი შეინიშნება...

ბოლნისელებმა კი, წაგების მიუხედავად, ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვეს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი აშკარად დაუკომპლექტებელია, შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს, ეს კი შინაურ თამაშებში ხშირად მოგების გარანტიაა ხოლმე. სწორედ მონდომებით უძლევიათ ბოლნისელებს ზუგდიდელთათვის.

ეს გუნდების ჩვეული შეფასება იყო, ჩემზე უკეთ ამას მწვრთნელები მოგახსენებენ.

### რევაზ ბურკაძე („ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი)

ეს კაცი დღევანდელ საქართველოში მწვრთნელის ეტალონად შეიძლება ჩაითვალოს. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ მითხრა, ჩემი ოცნებაა, ქუთაისში ქუთაისელებით ძლიერი გუნდი დავაყენოო. ამ სიტყვების მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბურკაძის სამწვრთნელო საქმიანობის პირობებს კი ოდნავადაც არ ლასტყობია გაუმჯობესება, პირიქით — „ტორპედოდან“ სულ გაიკრიფნენ ძლიერი ფეხბურთელები, მიწვეულებს ვილა ჩივის, ადგილობრივებმაც თავს უშველეს და ფულიანი გუნდები მონახეს. ბურკაძე კი წარბშეუხრელად განაგრძობდა იმ „თავისი გუნდის“ შენებას. მესამე და მეორე ჯგუფების გუნდებიდან იმატებდა ახალგაზრდა ფეხბურთელებს და ამის კვალობაზე ჩინებულ შედეგსაც აღწევდა. წელს ხომ ყველას პირი დააღებინა!

**— ბატონო რევაზ, სულგანათლებულმა გოგა ნორაკიძემაც ასე დაიწყო: ოცი წლის წინ გუნდი სკოლის მოწაფეებით გაავსო და მერე საკვირველ შედეგებს მიაღწია. იმ მოსწავლეებში თქვენც ერიეთ...**

— ჩემი მიზანი, რაც მწვრთნელობა დავიწყე, ქუთაისში კარგი გუნდის ჩამოყალიბებაა, თანაც სულ ადგილობრივი კადრებით. თვალი რომ გადაავლოთ სხვა გუნდების შემადგენლობებს, მათში უამრავ ქუთაისელ ფეხბურთელს ნახავთ, ლამის ორი გუნდის სამყოფს. მე ჩემს გზას ვადგავარ, ვისაც აქ მუშაობა არ უნდა, კალთებს არ ვახევ. ისე, ზოგიერთს არც ვამტყუნებ. ახლაც ერთისლა მეშინია, ესე თუ ისე, გუნდი შევკარით, ჯერ, რა თქმა, უნდა ბევრი სამუშაოა, მაგრამ გუნდის სახე ნელ-ნელა იკვეთება და იმის მეშინია, ერთ მშვენიერ დღეს ეს ბიჭები რომელიმე ფინანსურად ძლიერმა გუნდმა არ წაიყვანოს. ამ ბიჭებით შეიძლება სერიოზული მიზნების მიღწევა...

**— თქვენ მუდამ შემტევი ფეხბურთის მომხრე იყავით. ახლა, როცა ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ფორვარდი გყავთ, ძირითადად რაზე ამახვილებთ ყურადღებას მათთან მუშაობისას?**

— თანამედროვე ფეხბურთს სათანადო ათლეტური მომზადებისა და დიდი სისწრაფის გარეშე ვერ ითამაშებ. მსურს, ჩემი ფეხბურთელებით მაქსიმალური სისწრაფით ვითამაშო. ამაზე ვამახვილებ ყურადღებას.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენი ვაჟიც თამაშობს ფეხბურთს...**

— ჯერ თოთხმეტი წლისაა, ისე ვარ გუნდის საქმეებით დაკავებული, მისთვის დრო არ მრჩება და არც კი ვიცი, რომელ მწვრთნელთან დადის.

**— კვლავაც მერიის გუნდი ხართ?**

— ფაქტობრივად, ასეა. კვლავაც თემურ შაშიაშვილი და მისი მოადგილე თემურ ლოლაძე გვპატრონობენ. ისინი, იმის კვალობაზე, რაც შეუძლიათ, კიდევ კარგად გვეხმარებიან.

**— აშვეთიაზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ. თქვენ რას იტყოდით?**

— რა თქმა უნდა, პერსპექტიული, ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ წინ ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო აქვს

— აშვეთია და ჩხეტიანი ძირითადის მოთამაშეები არიან, შენგელია ყველა მატჩში გამოგყავთ, მერაბ მეგრელაძის ვაჟი გიორგიც რამდენჯერმე უკვე ათამაშეთ. ამ 16-18 წლის ბიჭებს ნდობა მართლაც მისასალმებელია. გავიგე, სეზონის წინ თბილისელ მიხეილ მესხსაც ეპატიჟებოდით.ნუთუ მასაც ანდობდით ძირითად შემადგენლობას?

— მე სკამისთვის არავის ვეპატიჟები. მესხი რომ ქუთაისში გადმოსულიყო, უყოყმანოდ ვათამაშებდი ძირითადში, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდის ამჟამინდელ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა და მონდომებითაც ივარჯიშებდა. მაგრამ მან „დინამოში“ დარჩენა ისურვა...

**— ხუთ მატჩში ჯერ გოლი არ გაგიშვიათ. ეს დაცვის დამსახურებაა თუ მეკარის?**

— დღევანდელ მატჩში ჩვენს მეკარეს, კაცმა რომ თქვას, საქმე არ ჰქონია, მაგრამ იყო მატჩები, როცა სწორედ მისი ჩინებული თამაშის წყალობით შევინახეთ კარი ხელშეუხებლად.

**— მოგებების სერიის გაგრძელებას კვლავაც აპირებთ?**

— ეს ხუთი თამაში, ფაქტობრივად, აუტსაიდერებთან ვითამაშეთ. ამით ჩემპიონატში ჩვენთვის ერთი გარკვეული ეტაპი დამთავრდა. ახლა, 17 სექტემბერს თბილისში „დინამოსთან“ მატჩით მეორე ეტაპი გვეწყება. ჩვენ, ცხადია, ჩვენსას შევეცდებით, მაგრამ იოლი თამაშები რომ აღარ გვექნება, ფაქტია...

**— სეზონის წინ რას გეგმავდით?**

— კონკრეტულად — არაფერს.

**— ასეთი ბრწყინვალე სტარტის შემდეგ?**

— საერთოდ, ჩემი მიზანი იყო ორ-სამ წელიწადში სამეულში მოხვედრა და ამის კვალობაზე ევროთასებზე გამოსვლა. კარგმა სტარტმა იმედი ჩაგვისახა და ვინ იცის, იქნება ამ სეზონშივე შევძლოთ ეს. ჩვენი მიზანი, ზემოთაც გითხარით, კარგი გუნდის დაყენებაა, განა სირცხვილი არ არის, დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქუთაისის „ტორპედოდან“ ეროვნულ ნაკრებში არცერთი ფეხბურთელი რომ არ თამაშობს? „ტორპედოს“ ყოველთვის თავისი სახე ჰქონდა, შევეცდები, მომავალშიც ასე იყოს.

**— თქვენ უმაღლეს დივიზიონში გუნდების ოდენობის შემცირების მომხრე იყავით.**

— ჩემპიონატის სტარტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენს უმაღლეს დივიზიონში 10-12 გუნდი უნდა თამაშობდეს.

**— დღევანდელ მატჩზე რას იტყოდით?**

— ბოლნისელებს მუდამ პატივისცემით ვეპყრობი, მებრძოლი გუნდია. დღეს სიცხემაც დაღი დააჩნია თამაშს. ვფიქრობ, ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო და ღირსეულადაც მოვიგეთ.

### ნოდარ ხიზანიშვილი („სიონის“ მთავარი მწვრთნელი)

ბოლნისელთა შარშანდელი წარმატების სულისჩამდგმელი ნოდარ ხიზანიშვილი წელსაც გუნდის სათავეშია. შარშან ამ დროს, მეორე ჯგუფელი „სიონი“ ზედიზედ ხუთი მოგებული მატჩის შემდეგ ლიდერობდა, წელს კი რანგით მაღალ დივიზიონში ბოლნისელებმა ხუთიდან ოთხი მატჩი წააგეს.

**— ხუთ მატჩში გაშვებული თხუთმეტი გოლი, ცოტა არ იყოს, ბევრია პირველი ჯგუფის დებიუტანტისთვისაც კი... არადა, შარშან ამ მხრივ ყველაფერი სრულ წესრიგში იყო...**

— ბუნებრივია, ამდენი გაშვებული ბურთი დაცვისა და მეკარის ბრალია. ჩვენს შარშანდელ მეკარეზე, თემურ ვოლკოვზე მინდა გითხრათ. სეზონი რომ დამთავრდა, ფეხბურთელები შევკრიბე და ყველას ვუთხარი, თუ ვინმეს უკეთეს პირობებს გთავაზობენ და გუნდიდან წასვლა გინდათ, ნუ დამიმალავთ, მითხარით და ხელს არ შეგიშლით-მეთქი. ქოიავამ პირდაპირ მითხრა, მიივდივარო. მადლობა მოვახსენე შარშანდელი მატჩებისთვის და გზაც დავულოცე. ჩვენი მეკარე, მცხეთიდან გადმოყვანილი ვოლკოვი კი სხვაგვარად მოიქცა: კონტრაქტზე ხელი მოგვიწერა და მისი იმედიც გვქონდა, სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე კი მოულოდნელად დაგვეკარგა. როგორც გავიგე, ისევ მცხეთის „არმაზში“ გადასვლა მოსდომებია. რას მიაღწია ამით? ვერც „სიონში“ თამაშობს და ვერც „არმაზში“. თავიდანვე რომ ეთქვა, აბა, როგორ დავუშლიდი. არადა, მე მას პირველი ჯგუფის საუკეთესო მეკარეთა ხუთეულში უყოყმანოდ დავასახელებდი. შარშან სწორედ ვოლკოვის სტაბილურმა თამაშმა შეასრულა დიდი როლი ჩვენს წარმატებაში. გარწმუნებთ, წელს რომ კარში ვოლკოვი გვყოლოდა, ახლა სამი ქულის ნაცვლად, მინიმუმ, ხუთი მაინც გვექნებოდა.

**— რაკი მეკარეზე ჩამოვარდა სიტყვა, დალაქიშვილზე მინდა გკითხოთ. დიდი ანგარიშით წაგების მიუხედავად მას დღეს ურიგოდ არ უთამაშია...**

— მართალი ბრძანდებით. დალაქიშვილი აქამდე უკონკურენციოდ იდგა კარში, რადგან მეორე მეკარე არ გვყავდა. ცოტა ხნის წინ თბილისის „გვარდიიდან“ მეორე მეკარე, გაგი ცოტაძე ჩამოვიყვანეთ. როგორც ხედავთ, ამან დალაქიშვილზე სასიკეთოდ იმოქმედა.

**— ხუთი გოლი კი გაიტანეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ მატჩში, ზუგდიდელებთან შესძელით. არადა, ბოლნისელი ჯაგიდისი სწორედ ბომბარდირობითაა განთქმული. რატომ არ ჩანს იგი თქვენს რიგებში?**

— ჯაგიდისი ხშირად არღვევს დისციპლინას და ამით პირველ რიგში საკუთარ თავს ვნებს. თუ ასე გაგრძელდა, დაიღუპება არა მარტო როგორც ფეხბურთელი, არამედ როგორც პიროვნება. არადა, ახლა რომ იგი ფორმაში იყოს, ბარე ბევრ გუნდს გაამწარებდა...

**— ფინანსურად კვლავ გიჭირთ?**

— გვიჭირს, მაგრამ შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან გამგებელი გურამ ავქოფაშვილი, მეურნეობის დირექტორები ზურაბ ჯაფარიძე, ზაურ ერაძე, მურთაზ ლორთქიფანიძე. მალე კაზრეთის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატიც მოაგვარებს თავის პრობლემებს და მაშინ ამოვისუნთქებთ. პირველი ჯგუფის გუნდს მეტი ყურადღება სჭირდება...

**— წელს და საერთოდ, რა მიზანი აქვს „სიონს“?**

— წელს, რა თქმა უნდა, პირველ ჯგუფში დარჩენა გვინდა, მომავალში კი, ჩემი სურვილია, ბოლნისის „სიონში“ უმთავრესად ადგილობრივი ფეხბურთელები თამაშობდნენ და ამ პატარა ქალაქისთვის უმაღლეს დივიზიონში ასპარეზობაც, ვფიქრობ, წარმატება იქნება.

**— ამისათვის კი ძლიერი ბავშვთა საფეხბურთო სკოლაა საჭირო. გაქვთ კი იგი ბოლნისში?**

— ამ მხრივ ჯერჯერობით ძალზე ცუდადაა საქმე. ბოლნისში ჩამოსვლისთანავე მოვითხოვე ამ პრობლემის მოგვარება. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დღეს მე ვარ მთავარი მწვრთნელი და ხვალ სხვა იქნება. ბავშვთა სკოლა ხომ დარჩება და იქ აღზრდილი უფრო მეტი შემართებით ითამაშებს მშობლიურ გუნდში. ნუთუ ყვარლის, გურჯაანის და მსგავსი ერთწლიანი გუნდების მაგალითმა არაფერი გვასწავლა? აგერ, ქუთაისის ჩინებული მაგალითი აიღეთ. რამდენმა ფეხბურთელმა დასტოვა კლუბი, ბურკაძემ კი ისევ შეკრიბა ძლიერი გუნდი. რა თქმა უნდა, აქ უდიდესია მთავარი მწვრთნელის როლი, მაგრამ ქუთაისის ტრადიციულად ძლიერმა საფეხბურთო სკოლამაც დიდი წვლილი შეიტანა „ტორპედოს“ დღევანდელ წარმატებებში. დღეს ხომ „ტორპედოში“ ყველა ადგილობრივი ფეხბურთელია, ასევე ბათუმშიც...

**— თქვენი ერთი ვაჟი თხუთმეტი წლისაა, მეორე თოთხმეტის. ხომ არ არის დრო, თქვენთან წაიყვანოთ და ავარჯიშოთ.**

— მე ძალზე პრეტენზიული ვარ მათ მიმართ. უკვირთ კიდეც, ყველასგან ქების სიტყვები გვესმის და მამას არასოდეს დასცდენია ჩვენზე კარგიო. ვახტანგ კოპალეიშვილთან ვარჯიშობენ, ორივე მცველია, როგორც ამბობენ, დიდი პერსპექტივა აქვთ. ვნახოთ...

**— შვილებზე ჩამოვარდა სიტყვა და თქვენი დინამოელი მეგობრის, რამაზ შენგელიას ვაჟზე, გიორგიზე უნდა გკითხოთ. დღეს კინაღამ გოლიც გაგიტანათ...**

— ცოდვა გამხელილი სჯობია და, აბა, როგორ უნდა გამხარებოდა ჩემი გუნდის კარში გატანილი გოლი, მაგრამ ერთი სული მქონდა, როდის გაიტანდა გიორგი გოლს. გიორგი შენგელია ჩემთვის მარტო მეგობრის შვილი არ არის. მე სამი-ოთხი წლის წინ ბავშვთა საფეხბურთო გუნდს „თბილისს“ ვუდექი სათავეში და გიორგიც სწორედ ჩემთან დადიოდა. მერე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ვწვრთნიდი და გიორგიც იქ იყო, ისევე როგორც მუჯირის, გაბელიას, დარასელიას ვაჟები. ვაკვირდებოდი გიორგის და მიკვირდა ასაკის კვალობაზე უჩვეულო პროფესიონალიზმი, ფანატიზმი, საქმისადმი თავდადება... გიორგი შენგელია ყოველთვის მაგალითად მომყავს ჩემი ბიჭებისთვის. მე და რამაზს საკარმიდამო ნაკვეთები გვერდი-გვერდ გვაქვს. ხშირად მინახავს, დასვენების ნაცვლად როგორ თავდაუზოგავად ვარჯიშობს გიორგი თამაშის შემდეგაც. ქების სიტყვები, დარწმუნებული ვარ, მას არ გააყოყოჩებს და ამიტომაც ვამბობ. ასე რომ, გულშემატკივარმა ჩაინიშნოს ეს ახალი სახელი — გიორგი შენგელია!

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „სიონს“ დავუბრუნდეთ. ხუთ ტურში სამი ქულა გაქვთ და მეექვსეში ლიდერს — „მეტალურგს“ მასპინძლობთ...**

— მანამდე დიდი დროა. ჯერ თასის ორი მატჩი გვაქვს სათამაშო თბილისის „მერანთან“. წარმატების შემთხვევაში ფეხბურთელები მოგების იშტაზე მოვლენ, თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, არა მგონია, ამ სეზონში ადგილის შენარჩუნება გაგვიჭირდეს.

მამუკა კვარაცხელია

ქუთაისი — თბილისი



პირველი და მეორე გოლის ავტორები დავით ნოზაძე და მამუკა ხუნდაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **საფრანგეთის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩები** | | | |
| 1.09 | ბორდო — ნანტი | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| | ლიონი — სტრასბური | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| | **გერმანიის ჩემპიონატი. მე-4 ტური** | | | |
| 1.09 | კარლსრუე — კიოლნი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| | დორტმუნდი — მიონხენგლადბახი | 1,35 | 2,8 | 5,0 |
| 2.09 | ლევერკუზენი — ზტ. პაული | 1,35 | 3,0 | 4,4 |
| | ფრაიბურგი — ფრანკფურტი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| | მიუნხენი — ბაიერნი | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| | უერდინგენი — ვერდერი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| | ჰამბურგი — შალკე | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| | კაიზერსლაუტერნი — შტუტგარტი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| 3.09 | დიუსელდორფი — ჰანზა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| | **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები** | | | |
| 3.09 | ხორვატია — ესტონეთი (0:3) | 1,7 | 3,8 | 2,2 |
| | პორტუგალია — ჩრდილოეთ ირლანდია | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 6.09 | საფრანგეთი — აზერბაიჯანი (0:3) | 1,6 | 3,8 | 2,5 |
| | სლოვაკეთი — ისრაელი | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| | პოლონეთი — რუმინეთი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| | ბელგია — დანია | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| | ესპანეთი — კვიპროსი | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| | ესპანეთი — კვიპროსი (0:2) | 1,8 | 3,8 | 2,0 |
| | მაკედონია — სომხეთი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | შვედეთი — შვეიცარია | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| | თურქეთი — უნგრეთი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | იტალია — სლოვენია (0:2) | 2,0 | 3,8 | 1,8 |
| | ლიტვა — უკრაინა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| | ჩეხეთი — ნორვეგია | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| | ლუქსემბურგი — მალტა | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| | ჰოლანდია — ბელარუსი (0:2) | 1,7 | 3,8 | 2,2 |
| | ავსტრია — ირლანდია | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| | ლატვია — ლიხტენშტეინი (0:2) | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| | გერმანია — საქართველო | ანგარიში — 4,0 | | |
| | უელსი — მოლდოვა | 1,2 | 3,2 | 5,6 |
| | ალბანეთი — ბულგარეთი | 5,3 | 3,1 | 1,25 |
| | შოტლანდია — ფინეთი | 1,2 | 3,2 | 5,6 |
| | ფარერები — რუსეთი (3:0) | 1,9 | 3,8 | 1,9 |
| | სან მარინო — საბერძნეთი (2:0) | 2,2 | 3,8 | 1,7 |

ესპანეთის ჩემპიონატის I ტურის მატჩების კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე
კოეფიციენტები და მათი შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

მომდევნო ტურის პროგრამა (9-10 სექტემბერი)

საფრანგეთის ჩემპიონატის VIII ტური
რუსეთის ჩემპიონატის XXIV ტური
გერმანიის ჩემპიონატის V ტური
ინგლისის ჩემპიონატის V ტური
შოტლანდიის ჩემპიონატის II ტური
იტალიის ჩემპიონატის II ტური
პორტუგალიის ჩემპიონატის III ტური
თურქეთის ჩემპიონატის IV ტური
ესპანეთის ჩემპიონატის II ტური
მსოფლიო ჩემპიონატი ფორმულა 1 რბოლაში — იტალიის დიდი პრიზი

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | | ■ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | | | ■ | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | SD COMPOSTELA | | | | | ■ | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | SPORTING GIJON | | | | | | ■ | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | | | | | | | ■ | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | | | | | | | ■ | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | | | | | | | | | ■ | | | | | | | | | | | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | | | | | | | | ■ | | | | | | | | | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | | | | | | | | | | | ■ | | | | | | | | | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | | | | | ■ | | | | | | | | | | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | | | | | | | | | | | ■ | | | | | | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | | | | | | | | | | | | | ■ | | | | | | | | |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | | | | | | | | | | | | | ■ | | | | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | | | | | | | ■ | | | | | | |
| 17 | SEVILLA FC | | | | | | | | | | | | | | | | | ■ | | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | | | | | | | | | | | | | | | | | ■ | | | | |
| 19 | VALENCIA CF | | | | | | | | | | | | | | | | | | | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | | | | | | | | | | | | | | | | | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | ■ | |
| 22 | MERIDA | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | | | | 1-1 | | | | | | | |
| 2 | AS BARI | | ■ | | | | | | | 1-1 | | | | | | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | US CREMONESE | | | | ■ | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | | | | ■ | | | | | | | | | | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | | | | ■ | | | | | | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | | | | | | | ■ | | | | | | | | | | | |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | | ■ | | | | | | | | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | | | | | | ■ | | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | | | | | | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | | | | | | | ■ | | | | | | | |
| 12 | PIACENZA | | | | | | | | | | | | ■ | | | | | | |
| 13 | AS ROMA | | | | | | 1-1 | | | | | | | ■ | | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | | | | | ■ | | | | |
| 15 | AC TORINO | | | | | | | | | | | | | | | ■ | | | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | | | | | | | | | | | | | ■ | | |
| 17 | VICENZA | | | | | | | | | | | | | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | | | | | | | | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | | | | | | | | | | | 1-1 | | 1-1 | | | | | | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | | | | | | | 3-1 | | | | | | | | | |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | | ■ | | | | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | | | 2-1 | ■ | | | | | | | | | 1-3 | | | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | | | | | | | | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | | | | | ■ | | | | 2-1 | | | | | | | | | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | | | | | ■ | | | | | | | | | | 2-0 | | | |
| 8 | LEEDS UNITED | | 2-0 | | | | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | | | | | | | ■ | | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | | | | | | | 0-2 | | | ■ | | | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | | | | | | | | ■ | | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | | | 2-0 | | | | | | | ■ | | | | | | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | | 3-0 | | | | | | 1-0 | ■ | | | | | | | |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | | 0-0 | | | | | | | | | ■ | | | | | 1-1 | |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | | | ■ | | | | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | | | 0-2 | | | ■ | | | | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | | | | | | 3-4 | | | ■ | | | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | | 1-3 | | | | | | | | | ■ | | |
| 19 | WEST HAM UNITED | | | | | | | | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | | | | | | | | | 2-2 | | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | | | | | | | 1-1 | | | | | | | |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | | | | | | | | 1-0 | | | | | | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | | ■ | | | | | | 1-1 | | | | | | | | | |
| 4 | FC ST. PAULI | | | | ■ | | | | | 1-2 | | | | | | 4-2 | | | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | | ■ | | | | | | | 1-2 | | | | | | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | | | | ■ | | | | 2-2 | | | | | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | | | 0-2 | | | ■ | | | | | | | | | | | |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | | | | ■ | | | | | | | | | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | | | | | | | | ■ | | | | 1-3 | | | | | |
| 10 | KARLSRUHER SC | | | | | | | | | | ■ | | | | 2-6 | | | | |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | | 3-2 | | | ■ | | | | | 0-1 | | |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | | 1-1 | | | | | | | | | ■ | | | | | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | | | | | | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | | | 3-2 | | | | | ■ | | | | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | | | | | | | | | | | | | | | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | | | 1-3 | | | | | | | | | | | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | | | | | | 3-1 | | | | | | | | | | ■ | 0-0 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | | | | | | 1-1 | | | | | | | | | | | | ■ |

რვაათასიანები

# ჰიმალაის მონბლანი




ავსტრიისა და დასავლეთ გერმანიის მთამსვლელთა გაერთიანებული ექსპედიციის წევრებმა დჰაულაგირზე გადამწყვეტი იერიში მაინცდამაინც 13 მაისს მიიტანეს. მაგრამ ეს დღე მათთვის ფრიად იღბლიანი აღმოჩნდა. შელბერგი, დინერი, ფორერი, დიმბერგერი, ნიმა დორჯი და ნავანგ დორჯი ოთხი საათის შემდეგ, 12 საათსა და 30 წუთზე, უკვე მწვერვალზე იდგნენ.

ცივ დჰაულაგირთან ათწლიანი ბრძოლა როგორც იქნა ადამიანთა პირველი გამარჯვებით დასრულდა.

მათი ასვლით ყველა გახარებული იყო. მოიერიშე ჯგუფის დანარჩენი ექვსი წევრიც მოუთმენლად ელოდა მწვერვალზე ასვლის ნებართვას, მაგრამ ექსპედიციის მეთაური ეიზელინი გაჯიუტდა. მას გაახსენდა ამ და სხვა რვაათასიანებზე დატრიალებული ტრაგედია, მსხვერპლი... იფიქრა, ჩვენმა ექსპედიციამ უკვე დიდი გამარჯვება მოიპოვა და რაიმე შესაძლო ხიფათი ამ წარმატებას დაჩრდილავსო. ბოლოს, ბევრი ჩიჩინის მერე, ეიზელინი დაიყოლიეს და გზას გაუდგნენ, მაგრამ რა იცოდნენ, რომ მალე თავბედს იწყევლიდნენ.

ასვლა რომ დაიწყეს, სულ მალე სკოჩილასს ჟანგბადის ნაკლებობის გამო ჰალუცინაციები დაეწყო და იძულებულნი გახდნენ ორი შერპის თანხლებით უკან დაებრუნებინათ. მერე დარჩენილ მოიერიშე სამ მთამსვლელს თავს ქარბუქი დაატყდა. გამოდარების მოლოდინში სამი ღამე VI ბანაკში გაატარეს. ბოლოს საკვები გამოელიათ, ვოშეს ფეხებიც მოეყინა და იძულებულნი გახდნენ V ბანაკისკენ დაძრულიყვნენ. გზად, კულუარში პატარა ზვავი წამოეწიათ და ვებერი და როისი თან გაიყოლა. ვოშემ მათ თვალი მაშინღა მოჰკრა, როცა მეგობრებმა გვერდზე ჩაუქროლეს...

***

წესისა და რიგის მიხედვით დჰაულაგირზე პირველასვლის ისტორიაზე თხრობა, თუ ქრონოლოგიას დავიცავთ, ბოლოსთვის უნდა შემოგვენახა, მაგრამ რაკი ახლა ქართველ მთამსვლელთა პირველი ჰიმალაის ექსპედიცია ამ მწვერვალისკენ მიმავალ გზას დასდგომია და ნეპალში ჩასულა, „გრაფიკს" დავარღვევთ და სხვა რვაათასიანების ნაცვლად ჩვენც დჰაულაგირს „შევუტევთ", მაგრამ მანამ „იერიშზე" გადავიდოდეთ, ტრადიციისამებრ „ასაღები სიმაღლე" გავიცნოთ.

***

დიდხანს, კერძოდ 1818-1848 წლებში, დჰაულაგირი დედამიწის უმაღლეს მწვერვალად მიაჩნდათ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ დჰაულაგირი სიმაღლით „მხოლოდ" მეექვსე ყოფილა, მაგრამ „პატარა" რვაათასიანებში იგი ყველაზე მაღალი გახლავთ.

დჰაულაგირი, ეს ძნელად მისავალი, მხრებში ფართოდ გაშლილი ერთთავიანი მთა ნეპალის ცენტრალურ ნაწილში, ჰიმალაის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებაზე, კალი-განდაკის კანიონის დასავლეთით მდებარეობს.

მას იმავე განშტოებაზე ჩრდილოეთიდან მწვერვალი ტუკუჩა (6915მ) ემეზობლება, ხოლო ქედის სამხრეთ გაგრძელებაზე მანაპატია (6500მ) აღმართული. ჩრდილო-დასავლეთიდან მთავარ ქედზე, აღმართულია სხვა დჰაულაგირები, რომლებსაც ნომრებით განასხვავებენ. ესენია დჰაულაგირი II (7750მ), დჰაულაგირი III (7703მ), დჰაულაგირი IV (7584 მ), დჰაულაგირი V (7640მ)... ეს თეთრი მთები ისე აღმართულან, თითქოს მთავარ დჰაულაგირს დარაჯობენ და მას ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან იცავენო.

მათ შორის, რა თქმა უნდა, ყველაზე შთამბეჭდავი მთავარი მწვერვალია, რომელიც კალი-განდაკის ღრმადშეჭრილი ხეობის ბოლოშია აღმართული და თავისი გოლიათური მასივით ყველა მეზობელი მწვერვალი დაუჩრდილავს.

ამ გიგანტს სამი მხრიდან (ჩრდილოეთის გარდა) კედლივით კლდოვანი ფერდობები ჩამოუდის. მწვერვალის ზედა ნაწილი დიდ თოვლ-ყინულოვან სახურავს გვაგონებს.

ჰიმალაის მასშტაბებთან შედარებით დჰაულაგირის გამყინვარებას ვეება არ ეთქმის.

ამ მწვერვალზე მისასვლელი გზა გადის კალი-განდაკის ველზე, ტუკუჩას უღელტეხილზე, იქიდან კი ჩრდილო-დასავლეთის ცირკში. მეორე „ბილიკი" მდინარე მაინგდის მიუყვება და დჰაულაგირის მყინვარზე ადის, მაგრამ ეს გზა მეტად ძნელი და მომქანცველია, რაკილა გასავლელია ველები; ხშირი ტყეები, ბუჩქიანი ფერდობები... გადასალახია მდინარეები, კლდეები...

***

დჰაულაგირი მდინარე კალი-განდაკის მთელს ხეობაში გაბატონებულა და ამიტომაც მას ძველთაგანვე იცნობენ ადგილობრივი მკვიდრნიცა და მოგზაურნიც.

მწვერვალმა სახელწოდება თავისი გარეგნული სახიდან მიიღო. სანსკრიტზე „დჰავალა" თუ „დავალა" თეთრს ნიშნავს, ხოლო „გირი" — მთას. ესე იგი დჰაულაგირი თეთრი მთა ყოფილა. ამიტომ მას ზოგჯერ ჰიმალაის მონბლანსაც უწოდებენ.

***

„ჰიმალაის მონბლანი" 1950 წლამდე ახლოდან არცერთ მთამსვლელს არ ენახა. იყო მხოლოდ 1941 წელს შვეიცარიელი პროფესორის არნოლდ ჰეიმის მიერ თვითმფრინავიდან გადაღებული ფოტოები და დოკუმენტური ფილმი, რომლებზე დჰაულაგირსაც ვხედავდით და ანაპურნაც, „ჰიმალაის მონბლანიდან" 30 კილომეტრით რომ დაშორებულა.

აი, სწორედ ამ მწირი მასალების ნახვის მერე აღეძრათ ფრანგებს სურვილი ასულიყვნენ დჰაულაგირზე, ხოლო ამათ ვერ შესძლებდნენ, ბედი ახლა ანაპურნაზე ეცადათ.

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ფრანგებმა მორის ერცოგის მეთაურობით 1950 წელს შერპებთან ერთად 200-მდე მებარგული დაიქირავეს და მათთან ერთად მდინარე კალიგანდაკის ხეობაში 200 კილომეტრის გავლის მერე აღწიეს სოფელ ტუკუჩას, სადაც 2580 მეტრის სიმაღლეზე ძირითადი ბანაკი დასცეს. იქვე იყო დჰაულაგირის პირქუში აღმოსავლეთის ფერდობიც. მაშინ მთამსვლელებმასხვადასხვა მხრიდან ბევრი უტრიალეს დჰაულაგირს, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ მასთან ვერას გახდებოდნენ და ანაპურნასაკენ გადაინაცვლეს. აი, ანაპურნა კი დალაშქრეს და გახდნენ პირველნი, რომლებმაც რვაათასიანი გიგანტი დაიმორჩილეს.

მაგრამ მაშინ, როცა მკითხველს ფრანგების ექსპედიციაზე ვუამბეთ, დჰაულაგირზე ზემოთქმულის მეტი არა გვითქვამს რა. ამიტომ იმ პირველ ექსპედიციაზე ორიოდე სიტყვით შევჩერდებით. ფრანგები საბაზო ბანაკიდან პირველად კალი-განდაკის ხეობის მოპირდაპირე მხარეს აღმართულ ნილგირის მასივის ფერდობებზე გავიდნენ. იქიდან დჰაულაგირის ფერდობები ისე მოჩანდა, როგორც აივნის წინ გადაშლილი პეიზაჟი. დჰაულაგირის მასივის ქვედა ნაწილი ციცაბოდ ეშვებოდა მდინარე კალი-განდაკისაკენ. ზემოთ უფრო ციცაბო ნაშალი ფერდობები მოჩანდა, რომლებიც მონოლითურ კლდეებზე გადიოდა. კიდევ ზემოთ უფრო დამრეცი ფერდობი იყო, თანაც კლდოვან-ყინულოვანი. ასეთმა სურათმა მთამსვლელებს გუნება გაუფუჭა, მაგრამ მწვერვალის დაზვერვაზე ხელი არ აუღიათ. ისინი ხან სამხრეთ-აღმოსავლეთით გადიოდნენ, ხან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამ გასვლებისას ისინი 5000-5500 მეტრის სიმაღლეზე ადიოდნენ, მაგრამ საიმედოს ვერაფერს ხედავდნენ. ოთხი კვირის დაზვერვის მერე დარწმუნდნენ, რომ დჰაულაგირზე გზის მპოვნელები აღარ იყვნენ, ხელი ჩაიქნიეს და ანაპურნსკენ გაუდგნენ.

***

1953 2 მაისს დჰაულაგირს შვეიცარიელები ანდრე როში, პეტერ ბრაუნი, მარკ ეიპელბერგი, რუდი შატცი, ჰანს ჰაუსი, რუდი პფისტერერი (ექიმი) ბერნჰარდ ლაუტერბურგის მეთაურობით მიადგნენ (სხვა წყაროს მიხედვით ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ შატცი და ბრაუნი). ისინი მწვერვალის მისადგომებთან ძნელადსავალი მდინარე მაინგდის ხეობიდან ავიდნენ და დჰაულაგირს სამხრეთ-დასავლეთის ფერდობს დაადგეს თვალი.

მთამსვლელთა წინ მწვერვალის ციცაბო დასავლეთი კედელი შემზარავად და პირქუშად აღმართულიყო. მწვერვალიდან ზვავების ყრუ გრუხუნი მოისმოდა. ასევე ყრუდ მოისმოდა ვეება ყინულოვანი სერაკების მოწყვეტის ჭახანი, დავარდნის მერე სარდაფში აფეთქებულ ყუმბარასავით მოგუდულად რომ სკდებოდა.

ეს ყველაფერი მზიდავებმა რომ საკუთარი თვალით იხილეს, ელდა ეცათ. უმეტესობამ ბარგი იქვე დაყარა და შინისაკენ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. შვეიცარელებთან და რვა შერპთან ერთად 6 მებარგულიღა დარჩა, მაგრამ ტვირთი უკვე თითქმის საბაზო ბანაკამდე. იყო აზიდული და გაქცეულებზე ბევრი აღარც უდარდიათ.

25 მაისს მთამსვლელები უკვე მსხლისებური მოყვანილობის კლდესთან ავიდნენ სადაც მეხუთე ბანაკი დადგეს. აქ 6400 მეტრის სიმაღლეზე ექსპედიციის ხელმძღვანელი 60 წლის ლაუტერბურგიც ამოვიდა. შატსი და ბრაუნი ბოლო საიერიშო ბანაკის მოსაწყობად გაემართნენ, საბოლოოდ ისინი „მსხლის" თავზე 7400 მ-ზე ავიდნენ, მაგრამ მარშრუტი თანდათან გართულდა, ქედის დახრილობა 70 გრადუსს აღწევდა. კლდეც უფრო გლუვი გახდა და მასზე პალოების ჩასასობი ადგილებიც აღარ ჩანდა. ამის გამო მთამსვლელებმა პირი იბრუნეს

***

1954 წლის გაზაფხულზე რვაათასიანებთან საბრძოლველად პირველად გამოჩნდნენ არგენტინელები, რომლებმაც სწორედ დჰაულაგირი ამოიღეს მიზანში. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ამ ქვეყნის ცნობილი მთამსვლელი ლეიტენანტი ფრანსისკო იბანესი, რომელსაც სამხრეთ-ამერიკის ანდებში მრავალი მწვერვალი დაელაშქრა. 14 შერპს მეთაურობდა იმ დროისთვის უკვე სახელგანთქმული პაზანგ დავა ლამა, რომელიც ინგლისელ სპენსერ ჩეპენთან ერთად აღმოსავლეთ ჰიმალაიში შვიდიათასიან ჯომოლჰარზე (7314 მ) პირველამსვლელი იყო, ხოლო 1939 წელს ამერიკელ ვისნერთან ერთად ჩოგორიზე 8382 მეტრამდე ავიდა, რაც უდიდესი მიღწევა გახლდათ ((დჰაულაგირზე თავისი პირველი ექსპედიციიდან რამდენიმე თვის მერე ავსტრიელ იოპლერთან ერთად ჩოოიუს პირველდამპყრობი ხდება).

არგენტინელები ზუსტად შვეიცარიელთა ნაკვალევს მიჰყვნენ. მათ ხუთი საშუალედო ბანაკი ერთმანეთის მიყოლებით სწრაფად მოაწყეს, მეექვსესთვის კი 7200 მეტრზე იმ „მსხალთან", ადგილი ვერ მოძებნეს. აი, აქ კი ექსპედიციის მეთაურმა თავისი სამხედრო საქმეც გაიხსენა, კლდეებს დინამიტი შეუწყო და დააქუხა. დააქუხა ერთხელ, მეორედ, მესამედ. ერთი კარვის დასადგმელად ფართობი რომ მოესწორებინათ, 28 აფეთქება გახდა საჭირო. ამის მერე ოთხმა არგენტინელმა და ხუთმა შერპმა ძლიერად დათოვლილი კულუარის ავლის შემდეგ 7600 მეტრის სიმაღლეზე, იქ, სადაც კლდოვანი კედელი იწყებოდა, მეშვიდე ბანაკიც დადგა. იმ ღამეს ძლიერი ქარი ამოვარდა, ტემპერატურა მინუს 30 გრადუსამდე დაეცა. ბერტონჩელიმ და იბანესმა ფეხები მოიყინეს. მათი ბედი სამმა შერპმა გაიზიარა. დილით ბერტონჩელი და ის სამი შერპი ქვემოთ დაეშვა. იბანესი კი, როგორც ექსპედიციის მეთაური მეშვიდე ბანაკში დარჩა, რათა ქვემოდან მომავალ მოიერიშე ჯგუფს დალოდებოდა და თვალყური ედევნებინა მათი გადამწყვეტი ცდისათვის. მალე ეს მოიერიშეებიც გამოჩნდნენ: ვატცლ — პაზანგ დავა-ლამასა და მანიანი — ანგ-ნიმას წყვილები. დილით ისინი იერიშზე გადავიდნენ, იბანესი კი კვლავ მეშვიდე ბანაკში დარჩა.

მწვერვალისკენ მიმავალთ კლდის დასაწყისივე ფრიად რთული დახვდათ. მათ იმ კლდის დაძლევას მთელი ძალა, ენერგია და დრო შეალიეს, რაკი ჟანგბადის ბალონით მხოლოდ ვატცლი სარგებლობდა, ისინი ძალზე დაიღალნენ და მათ მწვერვალის თოვლიან თხემზე მხოლოდ საღამოს, 17 საათზე ააღწიეს. მწვერვალამდე 200 მეტრიღა რჩებოდა. აშკარა იყო, რომ ისინი დღის სინათლეზე ვეღარც მიზანს მიაღწევდნენ და ვეღარც საიერიშო ბანაკს ჩააღწევდნენ. არადა, არც კარავი ჰქონდათ, არც საძილე ტომრები. ამიტომ თოვლიან ქედზე გამოქვაბული გამოთხარეს და ერთამანეთს მიკრულნი ღამისსათევად მოემზადნენ. საშინლად ყინავდა. ღამით დაწყებულ გაუთავებელ თოვას გამოქვაბულის შესასვლელი რომ არ ამოექოლა, მთამსვლელები გათენებამდე მალიმალ თხრიდნენ. დილით გაგრძელებულმა უამინდობამ მათ წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა და ამიტომ პირი იბრუნეს. დაშვების რთულ მონაკვეთებზე ხშირ-ხშირად 50-მეტრიანი თოკის გამოყენება ხდებოდა საჭირო. ერთ-ერთ ასეთ მონაკვეთზე ანგ ნიმამ წონასწორობა დაკარგა და ჩამოვარდა. მის უკან მომავალმა მანიანიმ შერპის ვარდნის შეჩერება შესძლო, მაგრამ თავპირდასისხლიანებული ანგ ნიმა თოკზე უმწეოდ დაეკიდა. ამ დროს პაზანგი, რომელიც ანგ ნიმას ძმა იყო, კლდის ძირში იდგა. გასაჭირში ჩავარდნილი ძმა რომ დაინახა, დაცვის გარეშე თავისუფალი ცოცვით ძმასთან ავიდა. ანგ ნიმას თავი გაეტეხა და გულმკერდიც გვარიანად დაშავებოდა.

დაღამებისას ხიფათში ჩავარდნილნი დიდი გაჭირვებით საიერიშო ბანაკში ჩაიყვანეს. დილით ვატცალმა და პაზანგ დავალამამ ანგ ნიმა და იბანესი, რომელსაც იმ ღამით ფეხები უფრო მოყინვოდა, ქვემოთ წაიყვანეს. იბანესმა გზაში წრიაპები დაკარგა და ისედაც ფეხებმოყინულს სიარული უფრო გაუჭირდა. ამიტომ მეექვსე ბანაკს გვიან საღამოს ძლივს ჩააღწიეს. იბანესი იქვე დატოვეს, დანარჩენები კი მეხუთე ბანაკისკენ დაეშვნენ. მეორე დღეს იბანესს წრიაპები ამოუტანეს, მაგრამ იგი იმდენად შეუძლოდ გამხდარიყო, რომ მათი ამოკვრა ვეღარ მოახერხა და სხვათა დახმარების გარეშე სიარულიც აღარ შეეძლო. მის საშველად ამოსულებმა ექსპედიციის მეთაური დიდი გაჭირვებით ჩაიყვანეს საბაზოში, მერე ტყე-ღრეში და ველ მინდვრებში თავსხმა წვიმაში მრავალდღიანი ლაშქრობაც დაიწყო. როცა კატმანდუში მიაღწიეს, იბანესს უმალ ფეხების ამპუტაცია გაუკეთეს, მაგრამ განგრენა იმდენად შორს წასულიყო, რომ იბანესი იქვე გარდაიცვალა.

***

1955 წელს დჰაულაგირს მიადგა გერმანელთა და შვეიცარიელთა გაერთიანებული ექსპედიცია, რომელსაც მიუნხენელი მარტინ მაიერი მეთაურობდა. ექსპედიციაში ექვსი დასავლეთგერმანელი და ოთხი ავსტრიელი მთამსვლელი იყო, შერპების გუნდს კი ისევ პაზანგ დავა ლამა მეთაურობდა. მათ ორი მიზანი ჰქონდათ — მწვერვალზე ასვლა და იმის დამტკიცება, რომ ასეთი ექსპედიციისთვის ადგილობრივი მცენარეული საკვები მისწრებაო. ამიტომ ამ ექსპედიციას ვეგეტარიანელებისა შეარქვეს, მაგრამ მთამსვლელებს, მიუხედავად იმისა, რომ პაზანგ დავა ლამა თავდაუზოგავად ეხმარებოდა, ორივე მიზანი განუხორციელებელი დარჩა. მაქსიმალური სიმაღლე, რასაც ამ ექსპედიციამ მიაღწია, 7400 მეტრი იყო. აქამდე მხოლოდ პაზანგი და ვერნერ შტაიბლე ავიდნენ, მაგრამ უამინდობის გამო პირი იბრუნეს.

1956 წელს დჰაულაგირის ფერდობებზე კვლავ არგენტინელებს ვხედავთ. ახლა მას პოლკოვნიკი ემილ ხუერტი მეთაურობს, შერპებს კი ისევ პაზანგ დავ ლამა სირდარობს. არგენტინელთა ძველი შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ ფ. გოდოის ვხედავთ. ისინი ისევ თავიანთი ნაცადი გზით მიიწევენ მწვერვალისკენ. თავდაპირველად საქმე კარგად მისდით, მაგრამ მუსონი ჩვეულებრივზე ადრე იწყება. ისინი 7600 მეტრზე გამოდარებას ამაოდ ელიან, ბოლოს კი იძულებულნი ხდებიან „მსხლის" თავიდან ჩამოვიდნენ და ევაკუაცია დაიწყონ.

მომდევნო წელს ასეთივე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა შვეიცარიელთა ექსპედიცია, რომელსაც ვერნერ შტაიბლე ხელმძღვანელობდა. ისინი მწვერვალს მყინვარ მაიანდის დასავლეთის ქედიდან უტევდნენ. თავდაპირველად მათი წინსვლაც კარგად მიდიოდა, მაგრამ უამინდობის გამო შვიდი მთამსვლელი 7550 მეტრიდან მობრუნდა.

***

1959 წელს მწვერვალის აღებას ავსტრიელები ცდილობენ. ახლა აქ რვაათასიანების დამლაშქრავი ორი მთამსვლელია, ისევ ის პაზანგი, რომელიც თავის 13 თანამემამულეს მეთაურობს და ექსპედიციის ხელმძღვანელი, გაშერბრუმ II დამპყრობი ფრიც მორავეცი.

მთამსვლელებმა საიერიშოდ ამჯობინეს ჩრდილოეთის ქედი, რომელსაც შვეიცარიელთა ექსპედიციის მეთაური მაქს ეიზელინი მოიხსენიებდა როგორც „მწვერვალისკენ მიმავალ შესაძლო გზას".

ავსტრიელები და შერპები დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით მიიკვლევდნენ გზას. ერთმანეთის მიყოლებით იდგმებოდა ბანაკები. 29 აპრილისთვის 6500 მეტრზე მეოთხე ბანაკიც მზად იყო. სწორედ ამ დროს მეორე ბანაკის სიახლოვეს (5700მ) ერთ-ერთი მთამსვლელი, ჰაინრიხ როისი ნაპრალში ჩავარდა და 23 მეტრის სიღრმეში ლურსმანივით ჩაეჭედა. მის ამოსაყვანად ნაპრალის გაფართოება გახდა საჭირო, მაგრამ როცა ყინულს ჩეხავდნენ. აგონიაში მყოფმა როისმა სული დალია. მისი გვამის ამოტანა მხოლოდ მეორე დღეს შეძლეს და მიანგდის მყინვარის მარჯვენა მორენაზე მიაბარეს მიწას.

ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ ისე იმოქმედა ავსტრიელებზე და შერპებზეც, რომ ექსპედიცია ლამის ჩაიშალა, მაგრამ მათ ძალა მოიკრიბეს და ისევ იერიშზე გადავიდნენ. თუმცა, როისის დაღუპვის მერე წარუმატებლობა ფეხდაფეხ აედევნათ. როცა ასვლა განაახლეს, მეორე და მესამე ბანაკები თოვლში ჩამარხული დახვდათ. ბანაკების აღდგენის მერე ბენზინით სავსე კანისტრებს ვეღარსად მიაგნეს. ამას ძლიერი ქარიც დაერთო, რამაც კარვები გაგლიჯა. ამიტომ მთამსვლელებმა გამოქვაბულები გამოთხარეს, რამაც დიდი დრო და ენერგია წაიღო.

მაგრამ ალპინისტები სულით მაინც არ დაცემულან და 7-დან 11 მაისამდე მოაჯირად 80 თოკი გააბეს. მერე მათი წინსვლა ისევ უამინდობამ შეაჩერა და მეხუთე ბანაკი (7000 მ) მხოლოდ 22 მაისს გამართეს. მალე რთული კლდოვანი მარშრუტიც გაამზადეს და 7400 მეტრის სიმაღლეზე საიერიშო ბანაკიც დადგეს. 25 მაისს როგორც იქნა გადამწყვეტი ასვლა დაიწყო. როცა კარლ პრეინი და პაზანგ დავა ლამა მწვერვალისკენ დაიძრნენ, მზიანი ამინდი კი იდგა მაგრამ ძლიერი და ცივი ქარი ქროდა. ისინი 7800 მეტრამედ ჟანგბადის ბალონების გარეშე კარგად ავიდნენ, მწვერვალამდე კიდევ ხუთი-ექვსი საათის სიარულო გზა ედოთ, მაგრამ ამ დროისთვის ქარი ქარიშხალში გადაიზარდა და ისინი მეექვსე ბანაკში დაბრუნდნენ. სამწუხაროდ ბანაკი დანგრეული დახვდათ. მეტი რა გზა იყო, ან იმ ღამით უნდა გაყინულიყვნენ ან ბანაკი აღედგინათ. მათ იმდენი ძალა და ენეგრია ეყოთ, რომ არათუ ბანაკი აღადგინეს, იქ კიდევ ორი დღე-ღამე დარჩნენ და ამდენჯერვე სცადეს მწვერვალის დალაშქვრა, მაგრამ უშედეგოდ.

27 მაისს ექსპედიციამ დჰაულაგირის ფერდობებიდან ევაკუაცია დაიწყო, მერე კი იყო 1960 წელი, ავსტრია-დასავლეთგერმანიის ექსპედიცია, ექვსი მთამსვლელის გამარჯვება, მომდევნო ჯგუფის მწვერვალისკენ გასვლა, ქარბუქი, ზვავი და შიგ მოყოლილი ორი მთამსვლელი, ვოშეს გვერდით რომ ჩაუქროლეს, მაგრამ ამ ექსპედიციაზე მომდევნო წერილში გიამბობთ.

ავთანდილ გურასაშვილი

**რაგბი**

# «ბურძგლა»

## საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი



ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔ

ამა წლის დასაწყისში წამოწყებული ქართული რაგბის გარდაქმნა მთავრდება. მას შემდეგ, რაც რაგბის კავშირის საგანგებო ყრილობამ, 21 ივლისს რომ გაიმართა, ახალ პრეზიდენტად 38 წლის ბიზნესმენი და „შევარდენის" ძველი მორაგბე ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲑᲔᲒᲘᲫᲔ აირჩია, კავშირის მმართველ აპარატში არაერთი საკადრო ცვლილება მოხდა. ყველაფერი ეს მოსალოდნელიც იყო: ახალმა პრეზიდენტმა თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ხომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ გამარჯვების შემთხვევაში შექმნიდა ახალ „გუნდს", ვისთან ერთადაც ეცდებოდა რაგბის გაძლიერება-გავრცელების მისეული პროგრამის ხორცშესხმას.

ამ ერთი კვირის წინ საპრეზიდენტო გუნდში ორი ახალი წევრი გამოჩნდა: რაგბის კავშირის ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა ᲛᲔᲠᲐᲑ ᲐᲑᲓᲣᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ვისაც სარაგბო წრეში უფრო „ბეხოდ" იცნობენ. იგი 1969-75 წლებში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში თამაშობდა, 80-90-იანი წლების შესაყარზე კი „შევარდენის" ნორჩებს წვრთნიდა.

რაც მთავარია, საქართველოს უმთავრესი — კაცთა ნაკრების მწვრთნელობა დაეკისრა ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔᲡ. სწორედ მისი ხელმძღვანელობით უნდა დაედგას თავი მიზანთა-მიზანს — საქართველოს მონაწილეობას 1999 წლის მსოფლიო თასის დასკვნით სტადიაზე.

ახალ მწვრთნელს მსოფლიო თასის ორეტაპიან შესარჩევ ციკლამდე სხვა, ნაკლებმნიშვნელოვან შეჯიბრშიც მოუწევს ნაკრების ჩაბმა — ამ შემოდგომით ჩვენები ე.წ. ფირას პირველობის პროგრამით დანიას, გერმანიასა და ჰოლანდიას უნდა ეთამაშონ.

ᲖᲐᲖᲐ ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ

48 წლისა; წარმოშობით ჭიათურელ-კაცხელი; ბინადრობით ვაკელი; პროფესიით დერმატო-ვენეროლოგი (სულ ბოლო ხანებამდე ექიმად მუშაობდა რკინიგზის სისტემაში); მოწოდებით მორაგბე; მეტსახელად „ბურძგლა".

თავდაპირველად ვოვა ელოშვილის გუნდის ფეხბურთელი იყო. რაგბში მეზობელმა — ამჟამად ცნობილმა მოქანდაკემ გია ჯაფარიძემ მიიყვანა. მას აქეთ 1977 წლამდე თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში". 1972 წელს სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი არ შეახვედრეს. 1970-იან წლებში უდაოდ საქართველოს საუკეთესო კვაჭი (ჰუქერი) იყო.

31 წლისამ მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი. წვრთნიდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტს (1978), უნივერსიტეტს (1978-82), შევარდენს (1983), აკადემიას (1983-86), ლოკომოტივს (1986-87), ჯარის გუნდს (1988-89), მერე ისევ აკადემიასა და შევარდენს (მრჩევლის რანგში), ბოლოს — რუსთავს (1992-94), შარშან ივნისიდან კი გუმარის მწვრთნელია.

მისი მეთაურობით უნივერსიტეტს მოუპოვებია საქართველოს თასი და ჩემპიონატში ორჯერ დაუკავებია მეორე ადგილი; ლოკომოტივი სსრკ ჩემპიონატის უფროსი ლიგიდან გავარდნას გადარჩენილა; შევარდენსა და ჯარის გუნდს სსრკ ჩემპიონატის უმცროს ლიგაში უასპარეზიათ; რუსთავი საქართველოს ჩემპიონი გამხდარა; გუმარს მოუგია ვაკის შეიდკაცა, გამარჯვებით მოუვლია ლანგედოკი (საფრანგეთის პროვინცია) და პირველი დაუფლებია „სარბიელის სინს".

გაუზრდია უამრავი ცნობილი მორაგბე; უწვრთნია საქართველოს ნაკრების წევრთა უმეტესობა; ყოფილა მერაბ მარჯანიშვილისა და ირაკლი ლეჟავას პირველი მწვრთნელი; ორივე ვაჟი მორაგბედ გაუზრდია; აგროვებს რაგბის წიგნებს, ჟურნალებსა და კასეტებს; გულღია მასპინძელია, რის გამოც ხშირმა სტუმრებმა ლამისაა შინ, რიგის ქუჩის 9 ნომერში სარაგბო კლუბი გაუხსნან; საქართველოს ნაკრებს უცხოეთში ბევრგან ხლებია მეთვალყურედ და ქომაგად; ივნისში „ელის პარკზე" დაესწრო მსოფლიო თასის ფინალს; „სარბიელის" ერთგული მკითხველია.

პროფესიონალი მწვრთნელია; ჩანაწერებით დავთრებს ავსებს ხოლმე; ხედავს ჩვენი რაგბის ნაკლოვანებებს, მაგრამ ხშირადაც უთქვამს, ქართველები სარაგბო მონაცემებით არავისზე ნაკლები არა ვართო!

**ჩოგბურთი**

# გრაფმა კვლავ შიში ჭამა

ვიდრე ორშაბათს ნიუ-იორკის „ფლაშინგ მედოუსზე" წლის ბოლო „დიდი სლემის" ტურნირი — აშშ-ის ღია პირველობა დაიწყებოდა, მონაწილეთა ნაწილი წინა კვირაში სხვადასხვა შეჯიბრში გახურდა. ხორვატიაში ომმაც ვერ შეაფერხა უმაგის ტურნირი, რომლის ფინალშიც თომას მუსტერმა (ავსტრია) 3:6, 7:6, 6:4 დაამარცხა კარლოს კოსტა (ესპანეთი) და წლეულს უკვე მეათე შეჯიბრიც მოიგო. ნიუ-იორკში, კომაკის „ჰამლით ქაფის" ფინალში ევგენი კაფელნიკოვმა 7:6, 6:3 აჯობა იან სიმერინკს (ჰოლანდია) და ტიტული შეინარჩუნა. ამერიკაშივე, ქალთა შეჯიბრის ფინალში ჩანდა რუბინმა (აშშ) 6:7, 6:0, 2:6 მოუგო მაგდალენა მალეევას (ბულგარეთი).

ამ მალეევამ სამი წლის წინ აშშ-ის ღია პირველობაზე თვით ნავრატილოვა დაამარცხა, მაგრამ ამჯერად ოთხშაბათსვე წააგო 14 წლის მარტინა ჰინგისთან (შვეიცარია) 6:4, 4:6, 6:2. წელს კარგა ხნის შემდეგ პირველადაა, რომ შტეფან ედბერგი (შვედეთი) ისევ განუთესავია. და მაინც, ორშაბათს მან დაამარცხა მარტინ დამი (ჩეხეთი) 6:0, 6:3, 7:6.

ამ დღეს მონიკა სელეშმა (აშშ) 6:3, 6:1 მოუგო რუქსანდრა დრაგომირს (რუმინეთი), ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა კი, ვინაც მეექვსე ნომრად იყო განთესილი, სეტების ანგარიშით 2-1 რომ უგებდა ბრეთ სთივენს (ახალი ზელანდია), მარცხენა კოჭი იღრძო და დანებდა.

სამშაბათს შტეფი გრაფი (გერმანია) ისევ გვარიანად შეაშინა ამანდა კეტცერმა (სამხრეთი აფრიკა), ვინაც ერთადერთია, ვისაც წელს შტეფი დაუმარცხებია. ამათი თამაში ორ საათსა და 40 წუთს გაგრძელდა. გრაფმა კი მოიგო 6:7 (1-7), 6:1, 6:4, მაგრამ ბოლო ხელში ერთი პირობა 5:1 რომ გაიჭრა წინ, აფრიკელმა 5:4-მდე შეუმცირა სხვაობა. განთესილ ქალთაგან ამ დღეს გავარდა ივა მაიოლი (ხორვატია, 11), ვისაც 6:4, 6:4 აჯობა ბარბარა პაულუსმა (ავსტრია).

ანდრე აგასი რიხიანად ჩაება შეჯიბრში. შარშან აქ განთესილიც კი არ ყოფილა, მაგრამ დაქალ ბრუკ შილდსთან ერთად ჩავიდა ნიუ-იორკს და ჩემპიონიც გახდა. ანდრემ 6:2, 6:2, 6:2 დაანგრია ბრაიან შელტონი (აშშ). ძმობილს არ ჩამორჩა პიტ სამპრასი, რომელმაც სამ ხელში აჯობა ფერნანდუ მელიგენს (ბრაზილია). ნორჩმა მარსელო რიოსმა (ჩილე) დიდი ბრძოლა გაუმართა თავისზე ოდნავ უფროს თომას ენკვისტს (შვედეთი, 9). გადამწყვეტ ხელში შვედმა გაფლანგა ხუთი მატჩ-პოინტი, მერე კი თავად ერთს დაუძვრა და თაი-ბრეიქი 9-7 მოიგო.

ოთხშაბათს მიხაელ შტიხი (გერმანია) კარიერაში პირველად ეთამაშა ხავიერ სანჩესს (ესპანეთი) და მოუგო 6:2, 6:3, 6:0. გრაფი 46 წუთში გაუსწორდა რიტა გრანდეს (იტალია) 6:1, 6:3 და ახლა უნდა ეთამაშოს ნატალი ტოზიას (საფრანგეთი), ვისაც ჯამში 17-0 უგებს. რუბინმა გათიშა ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი, 15) 6:1, 6:3, რიხარდ კრაიჩეკმა (ჰოლანდია) — კარელ ნოვაჩეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:4, 6:4, მუსტერმა კი ახალბედა ამერიკელს, ლუკ ჯენსენს მეთოდურად აჯობა 7:6 (7-3), 6:3, 6:0.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲜᲣᲐ

# გაისად სამი «ბოლიდით»

გუშინწინ ცნობილი გახდა, რომ გაისად ფორმულა-1-ის მსოფლიო ჩემპიონატში გუნდები შეიძლება სამ-სამი მანქანით ჩაებან როგორც იუწყებიან, კონსტრუქტორთა ასოციაციის პრეზიდენტი ბერნი ეკლსტონი ყაბულსაა, რაც საქმის ნახევარი ყოფილა. საბოლოო გადაწყვეტილების გამოქვეყნებას ელიან 10 სექტემბრის შემდეგ. იმ დროისთვის მონცას ავტოდრომზე უკვე გათამაშებული იქნება იტალიის „გრან-პრი".

ᲨᲣᲥᲠᲘ ᲑᲣᲜᲢᲣᲠᲘ

## აქეთური, იქითური

16-17 აგვისტოს დუბლინმა (ბალახის) ჰოკეის მოთამაშე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. სენსაცია არ მომხდარა: ფინალში გავიდნენ ჰოლანდია და გერმანია, რომელთაც წინა ეტაპზე პირველობიდან [illegible] (ერთხელაც ესპანეთი ყოფილა ჩემპიონი). თამაში ფრედ 2:2 დასრულდა, პენალტებით კი გერმანელებმა 9-8 მოიგეს და ტიტული შეინარჩუნეს. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ჰოლანდიელებს აკლდნენ საჯარიმო კუთხურის გოლად ქცევის სპეციალისტები ბოველანდერი და ფანდერონეტი. მესამე ადგილი დაიკავა ინგლისმა, ვინაც 2:1 მოუგო ბელგიას. ჩემპიონატზე მოქმედებდა ახალი — დროებითი შეცვლის წესი, რითაც ბევრმა გუნდმა იხეირა: საჯარიმო კუთხურის გათამაშების უფლებას რომ მოიპოვებდა, დასვენებულ დამრტყმელს ამერიკული ბურთაობის ყაიდაზე მოედანზე შეაგზავნიდა ხოლმე.

*

ნბა-ის პრობლემებმა შეიძლება ჩაშალოს „მაკდონალდსის" საერთაშორისო ტურნირი, ოქტომბერში ლონდონში რომ უნდა გაიმართოს. შეჯიბრში, რომელიც ფაქტიურად მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატია, უნდა ჩაებან მადრიდის „რეალი", თელ-ავივის „მაქაბი", ბოლონიისა და შეფილდის კლუბები, ავსტრალიის ჩემპიონი, აგრეთვე ნბა-ის უძლიერესი კლუბი „ჰიუსთონ როქითსი".

*

გამოვლინდნენ საგაისო ოლიმპიადის ვაჟთა საკალათბურთო ტურნირის ამერიკელი მონაწილეები. მასპინძელთა „მესამე საოცნებო გუნდის" გარდა ატლანტაში იასპარეზებენ პუერტო-რიკო, არგენტინა და ბრაზილია, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში კანადას აჯობა. ფინალი არგენტინამ ერთი ქულით (86:87) კი წააგო, მაგრამ ოლიმპიურ სარბიელს 44-წლიანი განშორების შემდეგ უბრუნდება.

*

ხვალ „უემბლიზე" დიდი კრივია: საბჭოს მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი ოლივერ მაქქოლი ტიტულის დაცვას ეცდება ბრიტანელი ფრენკ ბრუნოს ხელყოფისაგან. მოკრივეებმა სამშაბათს, ბრიტანეთის ზღვაოსნობის მუზეუმში გამართულ პრეზენტაციაზე მაგარ-მაგარი სიტყვებით უკვე შეამკეს ერთმანეთი და, სხვათა შორის, ურთიერთის ოჯახებსა და ჯილაგსაც გადასწვდნენ.

*

ინგლის — ვესტ-ინდოეთის ბოლო, მეექვსე ტესტი, 24-28 აგვისტოს რომ გაიმართა ლონდონის „ფოსტერს ოვალზე", უშედეგოდ (ფრედ) დასრულდა: ინგლისი 454 და 223 (4), ვესტ-ინდოეთი 695 (8). სერიაც ყაიმით 2-2 დამრთავდა.

*

„თეთრმა ზვიგენმა" — ავსტრალიელმა გრეგ ნორმანმა კვირას, ოჰაიოს შტატში მოპოვებული გამარჯვებით ამერიკელ თომ ქაით გაუსწრო აშშ-ის პროფესიონალ მეგოლფეთა ასოციაციის ტურის შეჯიბრებებში კარიერის მანძილზე მოხვეჭილი ჯამური ჰონორარით.


ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ

რედაქტორი
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ

სარედაქციო კოლეგია:
ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ
ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲐᲐᲚ ᲒᲘᲒᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲫᲕᲔᲚᲘᲐ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


**წყალჯომარდობა**



# ტურფა ფრანცისკას ხუთი ოქრო

ვენაში წყალჯომარდობის ევროპის ჩემპიონატი 17 აგვისტოდან კი მიმდინარეობდა, მაგრამ მას-მედია მისით სათანადოდ მას შემდეგღა დაინტერესდა, რაც შეჯიბრის მეხუთე დღეს ასპარეზობაში ჩაება 17 წლის გერმანელი გოგო ფრანცისკა ფანალმზიკი, ვინაც გდრ-ში კია დაბადებული და აღზრდილი, მაგრამ მაინც იმდენად ფხიანია, რომ მარჯვედ ხმარობს თავისს გამორჩეულ სიტურფეს და უკვე მილიონებიც დაუგროვებია. ფრანცისკას ვენაში იმდენი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, რომ პირადი მცველების გარეშე ხალხში აღარა ჩნდებოდა.

ფანალმზიკმა სამი წლის წინ, ბარსელონის ოლიმპიადაზე ოთხი მედალი მოიხვეჭა, 1993 წელს, შეფილდში, ევროპის პირველობაზე ექვსი ოქრო მოიგო, მაგრამ შარშან, რომში, მსოფლიო ჩემპიონატზე ერთადერთ სახეობაში — 200 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში გაიმარჯვა. ვენაში ფრანცისკა ერთბაშად შვიდი ოქროს მედლის მოგებას გეგმავდა. მართლაც, მან ყოჩაღად დაიწყო შეჯიბრი და ორი დღის შემდეგ უკვე ორი ოქრო ჰქონდა — 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვასა და „ოთხჯერ 200 მეტრი" ამავე სტილის ესტაფეტაში. მესამე დღეს, რუსმა დენის პანკრატოვმა ამერიკელი პაბლო მორალესის ხავსმოკიდებული მსოფლიო რეკორდი რომ გააუმჯობესა, გერმანელ ქალს დიდი მარცხი შეემთხვა — 200 მეტრზე (ნებისმიერი სტილი) მეცხრე შედეგი აღმოაჩნდა და ფინალში ვერ მოხვდა. ამან ისე გაახელა ფანალმზიკი, რომ სანუგეშო ფინალში მთავარ ფინალში გამარჯვებულზე ორნახევარი წამით უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა. მეოთხე დღის შემდეგ ფრანცისკას ოთხი ოქრო ჰქონდა — 400 მეტრზე და „ოთხჯერ 100 მეტრზე" (იმავე სტილით) გაემარჯვნა. მერე ფრანცისკამ მეხუთეც მოიგო — კომპლექსურ ესტაფეტაში, მაგრამ სულ ბოლო დღეს, კვირას, 27 აგვისტოს სტარტი ხეირიანად ვერ აიღო 50 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში და ველარ დაეწია შვედ ოლაფსონს.

ამრიგად, ფანალმზიკმა შვიდი ოქროს ნაცვლად „მხოლოდ" ხუთი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიხვეჭა.

საინტერესო გამოდგა წყალბურთელ ქალთა შეჯიბრიც. ფინალში იტალიელმა დედაკაცებმა 7:5 აჯობეს უნგრელებს.

ევროპის შემდეგი ჩემპიონატი 1997 წელს სევილიაში (ესპანეთი) გაიმართება, მაგრამ იქ ფანალმზიკი აღარ იასპარეზებს, ვინაიდან საგაისო, ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ აქტიური სპორტიდან წასვლასა და ფოტომოდელად გახდომას აპირებს.

ᲐᲜᲘ ᲑᲝᲛᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# ნიჩბოსნობა დილეტანტების ხელთააო!

ტამპერეში (ფინეთი) რვა დღე (20-27.VIII) გასტანა (აკადემიური) ნიჩბოსნობის მსოფლიო პირველობამ. სარბიელი შეუფერებელი გამოდგა ამ რანგის შეჯიბრისათვის — ქარი ისე ქროდა, რომ გადამწყვეტი ის იყო, ვის რომელ „ბილიკზე" მოუწევდა ასპარეზობა. ამის წყალობით ვაჟთა რვიანთა შეჯიბრში გერმანიამ და ჰოლანდიამ უდაო ფავორიტი აშშ დაამარცხეს. სამაგიეროდ, ამერიკელებმა ქალთა რვიანების რბოლა მოიგეს. აშშ საუკეთესო აღმოჩნდა გუნდურ ჩათვლაშიც — ხუთი ოქრო, თითო ვერცხლი და ბრინჯაო, მაგრამ ოქროებიდან ერთადერთია მოპოვებული ოლიმპიურ სახეობაში. იტალიამაც ხუთი ოქრო მოიგო, აქედან სამი — ოლიმპიურ დისციპლინებში. შეჯიბრი ცალკე გაიმართა მსუბუქი ეკიპაჟებისთვისაც. ამათ ბევრ სახეობაში მძიმე ეკიპაჟებზე უკეთესი შედეგები აღმოაჩნდათ, რამაც მედიას საღერღელი აუშალა იმის სამტკიცებლად, აქაო და მსოფლიო ნიჩბოსნობის მართვა დილეტანტების ხელთააო.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲠᲢᲐᲛᲝᲜᲝᲕᲘ